

ისრაელი ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის "დაბრუნებას" მიესალმება

A4



ერთი უცნაურობა "ერთი პატარა ინდიელისგან"

A5



გამოცხადებული სირცხვილის ქრონიკა

A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 29 ივლისი, 2005 წელი. №171 (1031)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ქუთაისის ახალ საპყრობილეში არსებულ ვაკანსიებზე კონკურსი გამოცხადდა

ქუთაისის საპყრობილეში თანამშრომელთა ხელფასი გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე ეს დღეს ამ სისტემის დაწესებულებებშია. მინიმალური ხელფასი 150 ლარი, ხოლო მაქსიმალური 950 ლარი იქნება.

A2

## ამბები

### მეცნიერებას ეროვნული სამეცნიერო ფონდი დააფინანსებს

საქართველოში იწყება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგების სისტემური რეფორმა. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაფუძნდა 2005 წლის 17 ივლისს და მისი ხელმძღვანელი საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა.

A2

## უცხოეთი

### პოლონეთსა და ბელორუსს შორის ურთიერთობები უკიდურესად იძაბება

პოლონეთმა ბელორუსიდან თავისი ელჩი გაიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ქვეყნის საგარეო უწყებაში თათბირი მეზობელ სახელმწიფოსთან გამწვავებული ურთიერთობების გამო.

A4

## რევიუ

### ჩოსერის რეპი

მკვლევარების აზრით, ხანდახან ბავშვებს უჭირთ 600 წლის წინანდელი ენის გაგება. ამიტომ რეპი შესანიშნავი საშუალებაა ამ ენობრივი ბარიერის გადასალახად.

A8

## ამინდი

| | 29/07 | 30/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 37 |
| ტყიბული | 35 | 35 |
| სოხუმი | 35 | 35 |
| დმანისი | 29 | 28 |
| გორი | 32 | 32 |
| ონი | 28 | 28 |
| ზუგდიდი | 37 | 38 |
| ახმეტა | 36 | 36 |
| გაგრა | 33 | 33 |
| სამტრედია | 37 | 37 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8079 |
| ევრო | 2.1675 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.1370 |
| რუბლი | 0.0629 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| ვაკანსია | A 5 |
| ვაკანსია | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# რეკომენდაციები აშშ-დან

## და რაზე ესაუბრება მეთ ბრაიზას სამოქალაქო საზოგადოება

ნინო გომართელი

*აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე მეთ ბრაიზა თბილისს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა. იგი საქართველოს ხელისუფლებასთან დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების და რეგიონული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საკითხებს განიხილავს.*

**"პრეზიდენტი ბუშიცა და კონდოლიზა რაისიც საქართველოში დემოკრატიის განვითარებით არიან დაინტერესებული. ჩემი ვიზიტი მიზნად ისახავს იმ პროცესების მხარდაჭერას, რომელიც დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, ძლიერი პარლამენტის შექმნას, ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებასა და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას გულისხმობს,"** - აცხადებს თბილისში ჩამოსული მეთ ბრაიზა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*მეთ ბრაიზა (მარჯვნივ) და რიჩარდ მაილსი კანცელარიაში შეხვედრისას.*

# "ეს არის თვითმმართველობის კვლა"

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის გასვლითი სამუშაო სხდომა ქუთაისში ხმაურიანი პროტესტის ფონზე გაიმართა. "ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" პროექტის - "პარლამენტის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა" - ფარგლებში ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა, რომელშიც საპარლამენტო კომიტეტის, იმერეთის მხარის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებმა დემარშით დატოვეს.

**"ეს იყო კომუნისტური ტიპის თათბირი, სადაც დაუძახეს გამგებლებს და, უბრალოდ, უთხრეს, რომ ამას ვაკეთებთ. ეს კომიტეტი ჩამოვიდა მოვალეობის მოხდის მიზნით. თითქოს, დეცენტრალიზაციასა და თვითმმართველობის გაძლიერებაზე მსჯელობენ და ამ დროს საპირისპიროს აკეთებენ. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ შეხვედრაზე უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ კონცეფცია, რომლითაც დღეს ქვეყანაში არსებული 900-მდე თვითმმართველი ერთეულის ნაცვლად რჩება 100 ერთეული, პრაქტიკულად, ირიცხება სოფელი, დაბა და თემი. ამასთან, არაფერი არ იცვლება მხარესთან დაკავშირებით: კვლავაც რჩება გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი და აქ არანაირი თვითმმართველობა არ შემოდის. ამ კონცეფციის განხილვის ნაცვლად, ამ კომიტეტის წევრებმა წარმოადგინეს კანონპროექტები, რომლებიც ამ კონცეფციიდან გამომდინარეობს და რეალურად გამოიწვევს თვითმმართველობის კვლასა და დეცენტრალიზაციის შეჩერებას,"** - აცხადებს "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელი კახა გვანცელაძე "24 საათთან" საუბარში.

**"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" მხრიდან ეს იყო აბსოლუტურად პოლიტიკური აქტი და მე აქ პოლიტიკური კამპანიის ნაწილში არა ვარ ჩამოსული. ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზანია, მოქალაქეებს გავაცნოთ პარლამენტში ინიცირებული სამი კანონპროექტი. ესენია "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის", "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობისა" და "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონპროექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალური თვითმმართველობის განხორციელებას. საკრებულოები დღეს მიდრეკილნი არიან თვითიზოლაციისაკენ. მათ არ უნდათ არანაირი პასუხისმგებლობა არც მოქალაქეებისა და არც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და ამიტომ აქვთ შიში ამ კანონპროექტების მიმართ,"** - აცხადებს პარლამენტარი ვანო ხუხუნეიშვილი "24 საათთან" საუბარში.

**"ჩვენ ასეთი ტიპის შეხვედრები უკვე გავმართეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და აღმოჩნდა, რომ სამსაათიანი შეხვედრა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განხილულ იქნას სამივე კანონპროექტი და კიდევ კონცეფცია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ხელოვნების ზეიმის" ორი დღე

## გერმანულ-ქართული ორკესტრის პრემიერა და ნიჭიერი ბავშვები ფესტივალზე

ვერა ნეფარიძე

*ბორჯომის ფესტივალი ბათუმში დასასრულს უახლოვდება. სამდღიანი ღონისძიების პირველი ორი საღამო პრემიერებითა და პატარა ვირტუოზების მონაწილეობით იყო გამორჩეული. მუსიკის მოყვარულებთან ერთად "ხელოვნების ზეიმს" ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებიან.*

გაგრძელება A5 გვერდზე



# ცხელი ამბავი

დიმიტრი ავალიანი

ცხელ-ცხელი და მწვავე პოლიტიკური განცხადებების მოყვარულმა ლეიბორისტებმა ამჯერად ზედმეტად ცხელი და სენსაციური ამბავი გამოაცხვეს. რუსულ საინფორმაციო სააგენტოებში ქართული ოპოზიციის ვარსკვლავის შალვა ნათელაშვილის გუშინდელი განცხადება სწორედ "ცხელი ამბის" გრიფით გაჩნდა და დიდი პოპულარობაც მოიპოვა.

აუტანელი სიცხის, ზედმეტად მოჭერილი ჰალსტუხისა თუ დაძაბული ანალიტიკური მუშაობის წყალობით გაჯერებული ნათელაშვილის ცხელი... ამბავი შემდეგნაირად ჟღერდა: "მთელი მსოფლიოს გასაგონად მინდა განვაცხადო, რომ 10 მაისის ტერაქტი პრეზიდენტ ბუშის წინააღმდეგ სააკაშვილის სპეცსამსახურებმა დიქტატურისა და შელახული იმიჯის გადასარჩენად მოაწყვეს." არც მეტი, არც ნაკლები.

ანუ ხელყუმბარა მოედანზე, ძიება, სპეცოპერაცია, უშიშროების თანამშრომლის სიკვდილი და ცოცხლად ძლივს გადარჩენილი ტერორისტი - მხოლოდ სააკაშვილის იმიჯის ასამაღლებლად დადგმული სპექტაკლია.

თანაც, როგორც თავად ოპოზიციონერი განმარტავს, ეს დასკვნა "ლეიბორისტებმა" "შემოსული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე" გააკეთეს. ანუ, შალვა ნათელაშვილმა, გიორგი გუგავამ, ჯონდი ბაღათურიამ და სხვა გამოჩენილმა ლეიბორისტებმა მიიღეს ინფორმაცია, რომელიც არ გააჩნდა არც პრეზიდენტ ბუშს, არც მის სპეცსამსახურებს, დასხდნენ, იმსჯელეს, და გამოიტანეს დასკვნა, რომელიც ამერიკულმა სპეცსამსახურებმა აქამდე ვერაფრით გამოიტანეს... და ამცნეს აშშ-ს და მთელს მსოფლიოს, თუ ვისთან ჰქონდათ სინამდვილეში საქმე სააკაშვილის ხელისუფლების სახით...

ალბათ, ჯორჯ ბუშიც უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ სადაზვერვო და ანალიტიკური მუშაობის ასეთი უნარის მქონე შალვა ნათელაშვილი აშშ-ს უშიშროების სამსახურებში აქტიურად ჩართოს. და იმაზეც, რომ სათანადოდ დააფასოს ლეიბორისტების "ანალიზი", რომელიც, მართალია, ეზოში დომინოს სათამაშოდ ჩამოსული თბილისელი "ობივატელების" მსჯელობისგან არაფრით განსხვავდება, სამაგიეროდ ტელევიზორში ისმის და წამყვან რუსულ საიმფორმაციო საშუალებებს ამშვენებს.

უცნობია, მიიღებენ თუ არა მხედველობაში ნათელაშვილის სენსაციას ამერიკელი ექსპერტები. სამაგიეროდ, კარგად არის ცნობილი, ეს ამბავი რომელი ქვეყნის ექსპერტ-პოლიტოლოგებს გამოუცოცხლებს არნახულად შემოქმედებით მუზას. ნათელაშვილზე არანაკლები ანალიტიკური უნარის მქონე რუსი ექსპერტები "გავლენიანი ქართველი პოლიტიკოსის" ნაქადაგებს კარგ გამოყენებას მოუძებნიან.

# მთავრობა მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი

გუშინ ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა, რომ ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის Heritage Foundation-ის მიერ მომავალი წლისთვის გაკეთებული დასკვნა საქართველოსთვის წარმატებული იქნება.

როგორც მინისტრმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი", რომელიც რამდენიმე დღის წინ ქართულ მედიაში გავრცელდა, 2002-2003 წლების მაჩვენებლებს ეყრდნობა, ამიტომ, ამ ინდექსით ხელმძღვანელობა გამართლებული არ იქნება.

**"მომავალი წლის დასკვნაში ამერიკული კვლევითი ინსტიტუტი უკვე 2004 წლის მაჩვენებლებს დაეყრდნობა. ამ დროს კი საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. მოხდა საგადასახადო და საბაჟო გადასახადების ლიბერალიზაცია, შემცირდა ბიუროკრატია და განხორციელდა პოლიციის რეფორმა,"** - განაცხადა ალექსიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ამერიკულმა კვლევითმა ინსტიტუტმა Heritage Foundation-მა ყოველწლიური "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" გამოაქვეყნა, სადაც საქართველომ 91-ე ადგილიდან მეასე ადგილზე გადაინაცვლა.

"ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით" საქართველოს ეკონომიკა მიკუთვნებულია "ძირითადად არათავისუფალ" (Mostly Unfree) კატეგორიას. ცხრილში საქართველოზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ სომხეთს, მადაგასკარს, მონღოლეთს, უგანდას, ნამიბიას, ბოსნიას, ყირგიზეთს და ა.შ.

Heritage Foundation-ის მოხსენების სპეციალურად საქართველოსთვის მიძღვნილ ნაწილში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით გაუარესებულია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი და გაზრდილია არალეგალური ვაჭრობა.

**24 საათი**

# სანატორიუმ "საქართველოში" მომხდარი ინციდენტი გაურკვეველია

*ქობულეთში, სანატორიუმ "საქართველოში" გუშინწინ საღამოს დაჭრილი ირაკლი თურმანაული, ოჯახის წევრების კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე, გუშინ ბათუმის N1 საავადმყოფოდან თბილისში, ღუდუშაურის კლინიკაში გადმოიყვანეს. ექიმების განცხადებით, პაციენტს ცხრა ჭრილობა აქვს მიყენებული, თუმცა არც ერთი მათგანი სიცოცხლისთვის საშიში არ არის.*

სანატორიუმ "საქართველოში" მომხდარი ინციდენტიდან რამდენიმე საათში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ირაკლი თურმანაული სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა დავით თელიამ და მისმა ვაჟებმა, სასტუმრო "საქართველოში" ექიმების სიმპოზიუმის დასრულებასთან დაკავშირებით გამართულ ვახშამზე დაჭრეს. გავრცელებული ინფორმაციითვე, პროფესორ თელიასა და სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელს თურმანაულს შორის შელაპარაკება მოხდა და ჩხუბში იქვე მყოფი თელიას ვაჟებიც ჩაერივნენ.

სხვათა შორის, ექიმ თურმანაულის დაჭრაში პროფესორ თელიას და მისი შვილების მონაწილეობის თაობაზე პირველი განცხადება აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ რევაზ კახნიაურმა გააკეთა. თუმცა, ქვეშევრდომის მიერ გაკეთებული განცხადება და გავრცელებული ინფორმაცია გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე კატეგორიულად უარყო შს სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსმა დავით ბედიამ.

აჭარის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი თურმანაულის დაჭრაში სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის დავით თელიასა და მისი ვაჟების მონაწილეობის ფაქტს უარყოფს. დავით ბედიას განცხადებით, გამოძიება მიმდინარეობს და ამ ეტაპზე თელიას ბრალეულობაზე საუბარი ნაადრევია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "ეს არის თვითმმართველობის კვლა"

პირველი გვერდიდან

**ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ შეხვედრაზე განგვეხილა მხოლოდ სამი კანონპროექტი და კონცეფცია აუდიტორიისთვის მიგვეწოდებინა, როგორც პარლამენტის უმრავლესობის ხედვა,"** - ასე ხსნის "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" საპარლამენტო პროგრამის მრჩეველი ხათუნა ხვიჩია ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე კონცეფციის არგანხილვის მიზეზს, რამაც დამსწრეთა ერთი ნაწილის პროტესტი გამოიწვია.

"ახალგაზრდა ეკონომისტების" ხმაურიანი პროტესტი ქუთაისში ბოლო დროს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებსაც დაუკავშირეს, კერძოდ, ქუთაისის ვიცე-მერის ბესიკ ბრეგაძის თანამდებობიდან გათავისუფლებას, რომელიც ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერია.

**"ბრეგაძე არის ერთ-ერთი დეტალი და განსახიერება იმისა, თუ როგორ შეუძლია თვითმმართველობაზე იმოქმედოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ. პრაქტიკულად, ერთ-ერთი პარტიული ლიდერის თანაშემწის ზარმა გადაწყვიტა თვითმმართველობაში ხელმძღვანელი პირის გათავისუფლება. იმერეთში სამჯერ შეიცვალა გუბერნატორი და სამჯერ შეიცვალა ქუთაისის მერი. ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო და არა პერსონალური ცლილებების განხორციელება,"** - აცხადებს კახა გვანცელაძე.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების ფართო საზოგადოებისთვის მიწოდებასა და საჯარო განხილვას შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტი, "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" მხარდაჭერით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სექტემბრამდე განაგრძობს. საშემოდგომო სესიებზე კი პარლამენტმა ეს კანონპროექტები უნდა დაამტკიცოს. შემჭიდროებულ ვადებში ამ კანონების მიღებას მომავალი წლისთვის დანიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განაპირობებს.

## მეცნიერებას ეროვნული სამეცნიერო ფონდი დააფინანსებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ საზოგადოებას წარუდგინა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ლევან ცინცაძე. მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოში იწყება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგების სისტემური რეფორმა. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაფუძნდა 2005 წლის 17 ივლისს და მისი ხელმძღვანელი საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა. ფონდი შეიქმნა საქართველოში მეცნიერების განვითარებისა და დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით. მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პოლიტიკა კი განხორციელდება ფონდის მეშვეობით.

ფონდის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა საქართველოში მეცნიერების კონკურენტულ საფუძველზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემის შექმნა, რაც ნიშნავს მაღალი ხარისხის, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური კვლევების სახელმწიფოს მიერ მაქსიმალურად წახალისებას.

ფონდის საწესდებო კაპიტალი, 2,5 მლნ ლარი, ეტაპობრივად შეივსება სახელმწიფოს მიერ უძრავი ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავლებიდან წილით, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებიდან და ცენტრებიდან მიღებული დაფინანსებით.

ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან დაფინანსების მიღება შეეძლება ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ან სამეცნიერო ჯგუფს, რომელიც კონკურსში წარმოადგენს მაღალი ხარისხის სამეცნიერო, ტექნოლოგიურ ან ინოვაციურ პროდუქციას და დაასაბუთებს კონკრეტული სამეცნიერო მიმართულების აქტუალურობასა და ორიგინალურობას.

სამეცნიერო კვლევებზე სახელმწიფო გრანტების გაცემას განსაზღვრავს მხოლოდ კომპეტენტურ მეცნიერ-ექსპერტთა (მათ შორის საერთაშორისო) დასკვნები.

ფონდის საერთო ბიუჯეტს, სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით სახსრების განაწილება-გადანაწილებას განსაზღვრავს ფონდის ეროვნული სამეცნიერო საბჭო, რომლის წევრები გამოჩენილი, აღიარებული და აქტიური მეცნიერები იქნებიან. მათ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი დანიშნავს.

უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება კიდევ ერთი ფონდი, რომელიც მიზნობრივად ქართველოლოგიური კვლევების ხელშეწყობის მიმართულებით იმუშავებს, - განაცხადა ალექსანდრე ლომაიამ.

**24 საათი**

## ეკონომიკის სამინისტრო ნარკოლოგიური ინსტიტუტის გაყიდვის კონკურსს კვლავ აჭიანურებს

27 ივლისის მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია ეკონომიკის ყოფილი მინისტრის კახა ბენდუქიძის 2004 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებას ითხოვდა. იუსტიციის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ბრძანებულება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან და რომ იგი ეკონომიკის მინისტრს აძლევს პრივატიზაციის პროცესის ერთპიროვნულად მართვის საშუალებას. იუსტიციის მინისტრი ყურადღებას საპრივატიზაციო ფასის განსაზღვრის მექანიზმის მანკიერებაზე ამახვილებდა, რაც მისი თქმით პროცესის ხარვეზებით წარმართვას უწყობს ხელს.

იუსტიციის მინისტრის გამოსვლის საპასუხოდ სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა: "იმედი მაქვს, რომ მთავრობა ჭკუიდან არ შეიშლება და ამ ბრძანებულებას არ გააუქმებს. ჩემი ჰიპოთეზა არის ის, რომ ეს იურიდიული შეცდომა იყო. ამიტომაცა მთავრობა, რომ შეაჯეროს მოსაზრებები. შეიძლება დაჭირდეს გადახალისება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს კანონი არანაირ ცუდ შედეგს არ გამოიწვევს". მინისტრის ეს განცხადება ძალზედ ოპტიმისტურია იმის ფონზე, რაც რეალობაში ხდება და ამის დამადასტურებელ მაგალითს ყოფილი ნარკოლოგიური ინსტიტუტის გაყიდვის კონკურსიც ადასტურებს.

### კონკურსი, რომელიც უკანონო აუქციონში გადაიზარდა

15 ივლისს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში კონკურსი გაიმართა, რომელიც ყოფილი ნარკოლოგიის ინსტიტუტის მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების (თბილისი, დ. აბაშიძის ქ. 17/4) პრივატიზაციას ითვალისწინებდა.

კონკურსში ორი კომპანია - საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია "ჯი-არ-დი-სი"-ს შვილობილი კომპანია - "თბილისი ბიზნეს პლაზა" და სააქციო საზოგადოება "კონსტრაქშენ ენდ დეველოპმენტ გრუპი" მონაწილეობდა.

სს "კონსტრაქშენ ენდ დეველოპმენტ გრუპის" ფინანსურ წინადადებაში ქონების შესასყიდ თანხად 1 211 000 აშშ დოლარი, ხოლო "თბილსის ბიზნეს პლაზას" განაცხადში - 2 250 000 აშშ დოლარი დაფიქსირდა. მნიშვნელოვანია, რომ კომპანია "ჯი-არ-დი-სი"-ს შვილობილმა კომპანიამ "თბილისი ბიზნეს პლაზამ" დამატებითი პირობის სახით დააფიქსირა კომპანიის მზადყოფნა, რომ ის მონაწილეობას მიიღებდა ნარკოლოგიური ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების დაფინანსებაშიც.

კომპანია "ჯი-არ-დი-სი" "თბილისი სიტის" პროექტის ინიციატორია, რომელიც თბილისის ისტორიულ ნაწილში დასავლური სტანდარტების შესაბამისი ბიზნეს ცენტრისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას გულისხმობს. პროექტი მოწონებულია ქვეყნის მთავრობის მიერ და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა მის განსახორციელებლად, აქტიურად მონაწილეობს თბილისის მერია, ურბანული დაგეგმარების სამსახური და კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. პროექტი რამდენიმე ეტაპად განხორციელდება და მხოლოდ პირველ ეტაპზე (ნარკოლოგიური ინსტიტუტის რეკონსტრუქცია) განხორციელებული უცხოური ინვესტიციების საერთო თანხა, პროექტის ბიუჯეტის მიხედვით 60 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

კონკურსში მონაწილე კომპანიების აბსოლუტურად განსხვავებული წინადადებების მიუხედავად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად 5 სამუშაო დღე მოითხოვა. გადაწყვეტილების ადგილზე მიუღებლობის მოტივად კი სს "კონტრაქშენ ენდ დეველოპმენტ გრუპ"-ის მიერ განაცხადში მითითებული დამატებითი "პირობა" დაასახელა, რომლის თანახმადაც კომპანია მზად არის განიხილოს კონკურსში მონაწილე სხვა პირების მიერ შემოთავაზებული მაქსიმალურ თანხაზე 50 ათასი აშშ დოლარით მეტის გადახდის შესაძლებლობა. ექსპერტთა განმარტებით, სამინისტროს მიერ მოყვანილი მოტივი სამართლებრივ საფუძველს სრულიად მოკლებულია, ამასთან კომპანიის მიერ წარმოდგენილი ეგრეთ წოდებული "დამატებითი პირობა" არ შეიძლება პირობად ჩაითვალოს, რადგან დადების მომენტშივე ის ბათილია სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, როგორც ნებაზე დამოკიდებული პირობა.

გასათვალისწინებელია ერთი დეტალიც - კონკურსში, რომელიც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართა, საპრივატიზაციოდ გამოტანილი ტერიტორია "თბილისი სიტის" პროექტის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ ტერიტორიის გარეშე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მთლიანად პროექტის განხორციელება, რაც პირველ ეტაპზე, 60 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის "დაკარგვასაც" გულისხმობს.

### რა ბედი ეწევა მომავალ ინვესტიციებს?

დავუბრუნდეთ ისევ ბატონი სახელმწიფო მინისტრის ოპტიმიზმს 19 ოქტომბრის ბრძანებულებასთან და საერთოდ ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ალბათ მის მოსაზრებებს "ამყარებს" ავტორიტეტული ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის "ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის" მიერ ჩატარებული ყოველწლიური კვლევის - "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" შედეგი, რომლის თანახმად საქართველო მე-100 ადგილამდე ჩამოქვეითდა, იმ მოტივით რომ ქვეყანაში გაუარესებულია საინვესტიციო კლიმატი, არაოფიციალურად დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე. მიუხედავად ეკონომიკის ახალგაზრდა მინისტრის განცხადებისა, რომ ეს მონაცემები საერთოდ არაფერს არ ნიშნავს, მთელი მსოფლიო მაინც ახდენს ასეთ რანჟირებას და ამ მაჩვენებლებს ითვალისწინებს ინვესტიციების განხორციელების დროს. თუმცა, ქართველებს სხვისი კვლევები ნაკლებად გვაინტერესებს!

ფაქტი კი ისაა, რომ ნარკოლოგიური ინსტიტუტის პრივატიზაციის კონკურსი არ არის პირველი პრობლემა, რომელიც მთავრობას წარმოექმნა. ე.წ. მალული პრივატიზაციით განხორციელებული ყველა სხვა პროექტი ჩავარდა და ჩვენს ქვეყანას და მის მთავრობას მრავალი გადაუჭრელი პრობლემა დაუტოვა.

## ქუთაისის ახალ საპყრობილეში არსებულ ვაკანსიებზე კონკურსი გამოცხადდა

*ქუთაისის ახალ საპყრობილეში მუშაობის მსურველთათვის იუსტიციის სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა. მასში მონაწილეობის მსურველებმა სპეციალურად გახსნილ სამდივნოებს 10 აგვისტომდე უნდა მიმართონ და განცხადებასთან ერთად სათანადო დოკუმენტებიც წარადგინონ. ქუთაისის ახალ საპყრობილეში სულ 300 ვაკანსიაა. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობის მსურველთათვის კონკურსი პირველად ტარდება.*

**"პენიტენციური სისტემის რეფორმაში მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. ქუთაისის მსგავსად, კონკურსი გამოცხადდება რუსთავის ახალ, N6 საპყრობილეში მუშაობის მსურველთათვის. ეს საპყრობილეები, სავარაუდოდ, წლეულს ოქტომბერში გაიხსნება და იგი საერთაშორისო დონეზე იქნება აღჭურვილი,"** - განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა.

მისი ინფორმაციით, ქუთაისის საპყრობილეში თანამშრომელთა ხელფასი გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე ეს დღეს ამ სისტემის დაწესებულებებშია. მინიმალური ხელფასი 150 ლარი, ხოლო მაქსიმალური 950 ლარი იქნება.



*ქუთაისის საპყრობილეში თანამშრომელთა ხელფასი გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე ეს დღეს ამ სისტემის დაწესებულებებშია.*

28 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით კონკურსში მონაწილეთა განცხადებებს მიიღებს სპეციალურად შექმნილი ორი სამდივნო. ერთი ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის შენობაში ამოქმედდება, ხოლო მეორე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

კონკურსი 11 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება.

პირველ ეტაპზე, საბუთების მიხედვით, 600 საუკეთესო პრეტენდენტი შეირჩევა. საბუთების შერჩევისას პრიორიტეტი მიენიჭება: უმაღლეს განათლებას (იურიდიული, პედაგოგიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, პოლიტოლოგიური), სამუშაო გამოცდილებას, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების ცოდნას.

18 აგვისტოდან 24 აგვისტოს ჩათვლით იუსტიციის სამინისტროში შედგება კონკურსის მეორე ეტაპი, გასაუბრება, რომლის საფუძველზეც შეირჩევა 300 კანდიდატი.

კონკურსის საბოლოო შედეგი 25 აგვისტოს გახდება ცნობილი. 29 აგვისტოდან კი, შერჩეული კანდიდატები ერთთვიან მოსამზადებელ კურსს გაივლიან, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების საზოგადოების მხარდაჭერით ჩაატარებს.

ტყეშელაშვილის განცხადებით, საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, სახალხო დამცველისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, 21 წლიდან 35-წლამდე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს, თავდაცვის სამინიტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, შინაგან საქმეთა სამინიტროს, პროკურატურის და ფინანსთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლებს, რომელთა ასაკი 65 წელს არ აღემატება.

**24 საათი**

## "სვანური დაჯგუფების" წევრები დააკავეს

პირველი გვერდიდან

საქართველოს კონტროლის პალატის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსზე, ანზორ მატკავაზე სამი თვის წინ განხორციელებულ თავდასხმაში ეჭვმიტანილები დაკავებულები არიან. პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულები სხვა დანაშაულებშიც არიან ეჭვმიტანილები, მეტიც, ისინი თბილისში მოქმედი ყაჩაღთა და მძარცველთა ე.წ. "სვანური დაჯგუფების" წევრები არიან. დაკავებულთა შორისაა მესტიის რაიონის სოფელ მულახის მკვიდრი, თბილისში დროებით მცხოვრები, ნასამართლევი, 27 წლის მუხრან შერვაშიძე, მეტსახელად "მუხო" და გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისში მცხოვრები, 25 წლის გურამ გუჯეჯიანი.

**"დაკავებულები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკით და აგრესიულობით. ისინი 2005 წლის დასაწყისიდან სისტემატურად ეწეოდნენ სახლის სადარბაზოებში მოქალაქეთა ძარცვა-ყაჩაღობებს,"** - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

თავდამსხმელებმა დაყაჩაღებისას ანზორ მატკავას მძიმე დაზიანება მიაყენეს და 2800 ლარი წაართვეს. სამართალდამცველები მუხრან შერვაშიძის, გურამ გუჯეჯიანისა და მათი დაჯგუფების სხვა წევრების სახელს უკავშირებენ 3 ივნისს თბილისში, გაბაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში განხორციელებულ თავდასხმასაც. თავდამსხმელებმა თენგიზ ქესანაშვილს ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით მძიმე დაზიანება მიაყენეს და 198 ლარი გასტაცეს.

**"ეს ჯგუფი 16 ივლისს ყაჩაღურად თავს დაესხა, აგრეთვე, თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე მცხოვრებ კონსტანტინე რევაზიშვილს, რომელსაც ასევე ბლაგვი საგნით თავის არეში დაზიანება მიაყენეს, თუმცა მისგან თანხის გატაცება ველარ მოახერხეს. მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები განსაკუთრებული სისასტიკითა და აგრესიულობით გამორჩეული ყაჩაღური დაჯგუფების სხვა წევრების დასაკავებლად,"** - აცხადებენ სამართალდამცველები.

**24 საათი**

## ქობულეთში მომხდარი ინციდენტი გაურკვეველია

**"გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. ჯერჯერობით არ დაუკითხავთ არც დავით თელია და არც მისი ვაჟი ზაზა თელია, ასევე შემთხვევის ადგილიდან არ არის ამოღებული დანა, რომლითაც თურმანაულს ცხრა ჭრილობა აქვს მიყენებული. ამ ეტაპზე გამოძიებას მხოლოდ მოწმეთა ზერელე ჩვენებები აქვს, რაც კონკრეტული დასკვნის საფუძველს არ იძლევა. ყველაზე მნიშვნელოვანი თავად დაჭრილი თურმანაულის ჩვენება იქნება, თუმცა მისი დაკითხვა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ექიმების ბანკეტზე, სადაც თურმანაული დაჭრეს, უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი და მათ შორის შესაძლებელია დავით თელიაც ყოფილიყო, თუმცა იმის მტკიცება, რომ ამ ინციდენტში თელია და მისი შვილები მონაწილეობდნენ, შეუძლებელია,"** - განმარტავს აჭარის პოლიციის უფროსი.

გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი დავით თელიაც და აცხადებს, რომ ინციდენტში არც მას და არც მის შვილებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აჭარის პოლიციის უფროსის მოადგილეს რეზო კახნიაურს, ნაადრევად გაკეთებული განცხადებისთვის, თანამდებობა უკვე დაატოვებინეს, თუმცა აჭარის პოლიციის უფროსმა დავით ბედიამ ეს ინფორმაციაც კატეგორიულად უარყო.

**"ჩემი მეუღლე სასიკვდილოდ გაიმეტეს, თუმცა უფლის ნებით, გადრჩა. მიუხედავად მაღალი რეგალიებისა, ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც ინციდენტში მონაწილეობდა,"** - ეს განცხადება დაჭრილის მეუღლემ თეა ჩხეიძემ გუშინ საღამოს თურმანაულის თბილისში გადმოყვანის შემდეგ გააკეთა. დაზარალებულის მეუღლე აცხადებს, რომ სამართალდამცველებს უკვე მისცა ჩვენება. თეა ჩხეიძეს ობიექტური გამოძიების იმედი აქვს.

**24 საათი**

## ქართველ მეტყევეებს აფხაზური კანონებით გაასამართლებენ

ჭუბურხინჯის გუშინდელ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დააყენა წალენჯიხის რაიონიდან გატაცებული ქართველების გათავისუფლების საკითხი.

ამასთან დაკავშირებით აფხაზურმა მხარემ, კერძოდ, გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვალერი ლომიამ განაცხადა, რომ ქართველებს ბრალდებას ხვალ ოფიციალურად წაუყენებენ. მისი განმარტებით, დაკავებულებიდან მხოლოდ ოთხია გათავისუფლებული, დანარჩენი 15 მოქალაქე გასამართლებული იქნება აფხაზური კანონებით. მათ ბრალად ედებათ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და ხე-ტყის უკანონო ჭრა გალის რაიონის ტერიტორიაზე.

გატაცებულთა ახლობლები ამტკიცებენ, რომ ისინი წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და იმ ადგილიდან გალის რაიონამდე საკმაოდ დიდი მანძილია.

ქართულმა მხარემ დააყენა საკითხი დაკავებულებისთვის ადვოკატის აყვანის თაობაზე, რაზეც აფხაზური მხარე ჯერჯერობით თავს იკავებს.

**ინტერპრესნიუსი**




## მოკლედ

### სულხან მოლაშვილი სასამართლოს უნდობლობას უცხადებს

**"არც მე და არც ჩემი ნათესავები მონაწილეობას არ მიიღებენ სასამართლო განხილვებში. მოსამართლეს შეუძლია, პროკურორთან ერთად, კარს მიღმა მიიღოს გადაწყვეტილებები და გამოიტანოს განაჩენი,"** - ეს განცხადება კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა გუშინდელ სასამართლო პროცესზე მას შემდეგ გააკეთა, რაც მოსამართლემ განსასჯელისა და მისი ინტერესების დამცველების შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დააკმაყოფილა. განსასჯელმა მოლაშვილმა გუშინ სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური შეკვეთის შესრულებაში დაადანაშაულა.

სულხან მოლაშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა სასამართლომ გუშინ დაიწყო. ისევე როგორც პირველივე გამწესრიგებელ სხდომაზე, გუშინდელ პროცესზეც განსასჯელის ადვოკატებმა მათი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლების საკითხი კიდევ ერთხელ დააყენეს და კიდევ ერთხელ ისაუბრეს იმ პროცესუალური ნორმების დარღვევებზე, რის საფუძველზეც, მათი განცხადებით, მოლაშვილი უკანონო პატიმარია.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე წინასწარი გამოძიებისას მოწმის სტატუსით დაკითხული ორი პირი გამოცხადდა. პროკურატურამ მოსამართლის წინაშე მათი დაზარალებულად მიჩნევის საკითხი დასვა, რამაც სასამართლო პროცესზე ხმაური გამოიწვია.

**"მოწმეებმა არც კი იციან, რა საქმეზე დაიბარეს სასამართლოში. სახელმწიფო ბრალმდებლები მათ დაზარალებულად ცნობას სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვენ,"** - აცხადებენ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატები. ისინი გუშინ მოსამართლის ტენდენციურობაზე ალაპარაკდნენ.

პროკურორის მანანა მოსულიშვილის განცხადებით, მოლაშვილის საქმეში 16 იურიდიული პირია მიჩნეული დაზარალებულად, რასაც გუშინ სასამართლოში გამოცხადებული ორი ორგანიზაციის წარმომადგენელიც ემატება. **"კონტროლის პალატის წყალობით, ამ ორგანიზაციებმა 1,5 მლნ ლარის ზარალი მიიღეს,"** - ირწმუნება პროკურორი.

**24 საათი**

### ვლადიმერ არუთინიანმა გამოძიებას დაპირებული ჩვენება არ მისცა

ტერორიზმსა და განზრახ მკვლელობაში ბრალდებულმა ვლადიმერ არუთიანმა გუშინ გამოძიებას დაპირებული ჩვენება არ მისცა.

არუთინიანის ადვოკატის, გულიკო ჯიმშელაძის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ჩვენების მიცემაზე უარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განაცხადა. ადვოკატისვე განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში დარჩება. როგორც ექიმები აცხადებენ, მას კიდევ ერთი ოპერაცია ჩაუტარდება.

გუშინ გამოძიებას არუთინიანისთვის კითხვები მის სარდაფში აღმოჩენილი ქიმიური ნივთიერებების შესახებ უნდა დაესვა.

**24 საათი**

### გორის ტერაქტში ეჭვმიტანილი გია ზასეევის მშობლები ეუთო-ს მისიისა და საქართველოს ადვოკატურის წარმომადგენლებს შეხვდნენ

ქართველი სამართალდამცავების მიერ დაკავებული, გორის ტერაქტში ეჭვმიტანილი გია ზასეევის მშობლები ეუთო-ს მისიის ადამიანის უფლებათა განყოფილების და საქართველოს ადვოკატურის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტის ცნობით, შეხვედრაზე ზასეევის მშობლებმა მიიღეს დაპირება, რომ მათ მიეცემათ საშუალება, გაეცნონ თავიანთი შვილის საქმეს და უახლოეს მომავალში შეხვდნენ მას.

დე-ფაქტო რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლეონიდ თიბილოვმა მადლობა გადაუხადა ეუთო-ს მისიის თანამშრომლებს, რომლებმაც უზრუნველყვეს ზასეევის მშობლების თბილისში ჩამოსვლის უსაფრთხოება.

როგორც კომიტეტში აღნიშნავენ, მიუხედავად ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების ძალისხმევისა, როგორიც ეუთო და "წითელი ჯვარია", დაკავებულისა და მისი მშობლების შეხვედრა მაინც ვერ მოხერხდა. მასთან ასევე არ შეუშვეს თავად "წითელი ჯვრის" წარმომადგენლებიც.

კომიტეტის განცხადებითვე, გია ზასეევის მიმართ ქართველი სამართალდამცველები იყენებდნენ ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს.

ჯანმრთელობის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ დაკავებულთა ნათესავები, რადგან მათ არ ეძლევათ საშუალება, დარწმუნდნენ, რომ დაკავებულთა მიმართ არ ყოფილა გამოყენებული ფიზიკური ზეწოლა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა 17 ივლისს ცხინვალის რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს გორში, პოლიციის შენობასთან მიმდინარე წლის 1 თებერვალს მომხდარი ტერაქტის უშუალო შემსრულებლები - გია ვალიევი და გია ზასეევი, ასევე დაკავებულია აფეთქებული ავტომობილის შემძენი იოსებ კოჩიევი.

**პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რეკომენდაციები აშშ-დან

პირველი გვერდიდან

ამერიკა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას უჭერს მხარს და სწორედ ამ საკითხების განსახილველად იგი გუშინ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და საგარეო უწყების ხელმძღვანელს სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.

ნოღაიდელთან შეხვედრის შემდეგ, ჟურნალისტებთან მან საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე - კონფლიქტებზე ისაუბრა. ბრაიზას მოსაზრებით, არსებული ქართულ-ოსური და ქართულ აფხაზური კონფლიქტების მოწესრიგებას საერთაშორისო საზოგადოებამ უფრო მეტი დრო და ყურადღება უნდა დაუთმოს.

**"ამერიკის შეერთებული შტატები კონფლიქტების მოწესრიგების მხრივ მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლება,"** - აღნიშნა მან, თუმცა ისიც დაამატა, რომ კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში რუსეთის როლი ძალიან დიდია.

ბრაიზა ოფიციალურ მოსკოვს მოუწოდებს, მხარი დაუჭიროს საქართველოში დემოკრატიული პრინციპების განვითარებას.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოში მიმდინარე სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმების შესახებაც ისაუბრეს. როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, შეერთებული შტატების წარმომადგენლის შეფასებით, საქართველოში რეფორმები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრა პროტოკოლით გათვალისწინებული 15 წუთის ნაცვლად, 45 წუთს გაგრძელდა.

მეთ ბრაიზას განცხადებით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელთან მისი საუბარი ზოგადად პარლამენტის როლისა და მისი საზედამხედველო როლის გაძლიერებას შეეხო. ისაუბრეს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გადადგმულ წარმატებულ ნაბიჯებზე, რაც აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესშიც შედის.

**"ვისაუბრეთ კონკრეტულად პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებაზე. ჩვენს ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლება მუდმივად კონგრესის დაკვირვების ქვეშაა. მეც და რიჩარდ მაილსიც ათასჯერ მაინც ავწონით, სანამდე რაიმე ნაბიჯს გადავდგამთ და გადაწყვეტილებას მივიღებთ, რადგანაც ჩვენ კონგრესის დაკვირვების ქვეშ ვიმყოფებით,"** -აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას ამერიკის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ.

მეთ ბრაიზას განცხადებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ოპოზიციის საკითხსაც შეეხო. ოპოზიცია ყველა ქვეყანაში კრიტიკული იქნება, მაგრამ ოპოზიციას ქვეყნის განვითარების საკუთარი ხედვაც უნდა გააჩნდეს. მას მიაჩნია, რომ ერის სიძლიერე თავისუფლებიდან მომდინარეობს და სწორედ თავისუფლება აძლევს ერს წარმატების საშუალებებს.

შეხვედრა გაიმართა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთანაც, თუმცა დახურულ ფორმატში, და საუბრის დეტალები არც მისი დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი.

მოგვიანებით კი მეთ ბრაიზას საპატივცემულოდ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ვახშამი გამართა. დღეს ამერიკელი დიპლომატი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება.

როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" პრეზიდენტმა ანა დოლიძემ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, იქნება თანამშრომლობითი საუბარი, საკმაოდ მრავლის მომცველი და შეეხება კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვას, კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიას და ყველა იმ ძირითად პრობლემას, რომელიც დღეს საქართველოში აქტუალურია. **"ეს არის ადამიანი, რომელსაც კარგად აქვს ჩამოყალიბებული ხედვა საქართველოზე. ამიტომაც მას ბევრი რამის ახსნა არ სჭირდება. ამ საკითხებზე ჩვენს მოსაზრებებს მოვახსენებთ და მის თვალთახედვას გავიზიარებთ,"** - აღნიშნავს ანა დოლიძე.

ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ხელმძღვანელის დავით დარჩიაშვილის განცხადებით, მეთ ბრაიზასთან შეხვედრაზე საუბარი ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში სამოქალაქო ორგანიზაციების გავლენის გაზრდას შეეხება. ისაუბრებენ არასამთავრობო სექტორისა და ხელისუფლების თანამშრომლობის საკითხებზეც.

**"საერთო განწყობა ამგვარი იქნება - სადაც ეს შესაძლებელია, იყოს ქვეყნის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, რადგან მიზანი ერთია - დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობა. თუმცა, კონკრეტული საკითხებისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია და საუბარი შეეხება სწორედ იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებმა მეტი გავლენა მოახდინონ ქვეყანაში კანონის უზენაესობის და დემოკრატიის დამკვიდრებაზე,"** - დასძინა დარჩიაშვილმა.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის ლევან რამიშვილის თქმით კი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალიან დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ საქართველო დღეს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ყალიბდება, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებით, **"მაგრამ ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და ჩვენ გვჭირდება კარგი დახმარება, როგორც შიდა პრობლემების მოსაგვარებლად, ასევე საგარეო პრობლემების დასარეგულირებლად, იგივე რუსეთთან ურთიერთობები,"** - აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

დღეს მეთ ბრაიზა შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს გელა ბეჟუაშვილს შეხვდება. ამასთან, კრწანისის სასწავლო-საწრთვნელ ცენტრს მოინახულებს და წრთვნებს დაესწრება.










მოკლედ

### უშიშროების საბჭო მორიგ რეზოლუციას მიიღებს

გაერო-ს უშიშროების საბჭო დღეს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხთან დაკავშირებით, თავის მორიგ რეზოლუციას მიიღებს.

გაერო-ში საქართველოს წარმომადგენლის რეზო ადამიას განცხადებით, წინასწარი განხილვისას, უშიშროების საბჭომ პრაქტიკულად მოიწონა აფხაზეთის კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებისა და დევნილთა დაბრუნების შესახებ ქართული მხარის მიერ შემუშავებული წინადადებები, რომელიც ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა ირაკლი ალასანიამ წარუდგინა.

ადამიას განმარტებით, გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის ქართული მხარის მიერ წარდგენილმა წინადადებებმა ხელი უნდა შეუწყოს როგორც მხარეთა შორის ნდობის აღდგენას, ასევე სამშვიდობო პროცესში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, მოლაპარაკების პროცესში აფხაზური მხარის ინტერესები გაითვალისწინოს.

რეზო ადამიას თქმით, გაერო-ს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, ალასანიამ მოლაპარაკების პროცესში აფხაზური მხარის ობსტრუქციულ განწყობაზე მიუთითა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა "აფხაზეთის მოქალაქეობის" მიღების იძულება და გალის რაიონში ქართული ენის სწავლების აკრძალვა.

აქვე შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებისა და დევნილთა დაბრუნების შესახებ ქართული მხარის მიერ შემუშავებული წინადადებები ირაკლი ალასანიამ საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელს ჰაიდი ტალიავინს თბილისში გასულ კვირას გადასცა. გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, ირაკლი ალასანიამ წარადგინა ახალი დოკუმენტი, რომელიც უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებსა და დევნილთა დაბრუნების შესახებ ახალ პუნქტებს შეიცავს. მან თავის მოხსენებაში აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლებისა და ოფიციალური მოსკოვის აგრესიულ პოლიტიკაზე ისაუბრა. გაერო-ს ნიუ-იორკის ოფისიდან საქართველოს ხელისუფლება აფხაზურ მხარეს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, განიხილოს "ბოდენის დოკუმენტი" და ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები განაახლოს.

ალასანიას განმარტებით, ქართული მხარე დარწმუნებულია, რომ გაერო-სა და აფხაზური მხარისათვის წარდგენილი წინადადებები ხელს შეუწყობს მხარეთა შორის ურთიერთნდობის გაღრმავებას და აფხაზურ მხარესთან შინაარსიანი დიალოგის დასაწყებად რეალურ პირობებს შექმნის. **24 საათი**

### ჩოჩიევი ხაინდრავას წინადადებას "არტისტულ ნაბიჯად" აფასებს

სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ ცხინვალის რეგიონში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს 1 თებერვალს გორში განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებით, საქართველოს შს სამინისტროს მასალების გასაცნობად რუსეთის, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველთა ექსპერტთა ჯგუფის თბილისში ჩამოსვლის წინადადებით მიმართა.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი გიორგი ხაინდრავას წინადადებას "მორიგ არტისტულ ნაბიჯად" აფასებს. როგორც ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, მან გიორგი ხაიდრავას მიერ შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებისადმი გაგზავნილი წერილის შესახებ პრესის საშუალებით შეიტყო და შესაბამისად, ქართული მხარის წინადადებაზე ჯერჯერობით ვერანაირ კომენტარს ვერ გააკეთებს.

ჩოჩიევი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა, რომელმაც "კარგად იცის მისი ტელეფონის ნომერი", არ დაუკავშირდა მას და არ აცნობა ქართული მხარის წინადადების შესახებ. ჩოჩიევისგან განსხვავებით, ქართული მხარის წინადადებას გაგებითა და თანამშრომლობის სურვილით ხვდება ცხინვალის რეგიონში მოქმედი შერეული სამშვიდობო ჯარების სარდალი გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი. კულახმეტოვის თქმით, იგი უკვე გაეცნო ქართული მხარის წინადადებას, მაგრამ იმის გამო, რომ მისი საქმიანობა მთლიანად დამოკიდებულია შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების გადაწყვეტილებაზე, აღნიშნულ საკითხზე სწორედ მათ დასკვნას დაელოდება.

**ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს შენაერთები მონაწილეობას მიიღებენ ფართომასშტაბიან ხუთდღიან წვრთნებში, რომელიც 15 აგვისტოს აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყება. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული გამოცემა "ვრემია ნოვოსტეი" აქვეყნებს. გაზეთის მტკიცებით, ოსური მხარისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეცნოს გამოცდილებას, რომელიც აფხაზურმა მხარემ თავდაცვის სფეროში დააგროვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-სომხეთის საზღვარზე, რეგიონული სამმართველო "ახალციხის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "ნინოწმინდასთან", ქართველმა მესაზღვრეებმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი 5 ცალი "პკტ" სისტემის ტყვიამფრქვევი სათადარიგო ლულით და 5 ცალი სასიგნალო პისტოლეტი აღმოაჩინეს. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული შეიარაღება "ბრდმ"-ის ტიპის იმ ერთ-ერთ ჯავშანმანქანაში იყო გადამალული, რომლებიც მესაზღვრეებმა მაშინ დააკავეს, როდესაც საქართველოდან სომხეთის რესპუბლიკაში გეგმიური საშვებით გადიოდნენ. ქართულმა მხარემ რუსეთის ფედერაციის სამხედრო დაჯგუფების კუთვნილი 4 სატვირთო ავტომანქანა და 4 ერთეული ჯავშანტექნიკა დააკავა. კოლონა ამჟამად საქართველო-სომხეთის საზღვარზეა შეჩერებული და მიმდინარეობს მოკვლევა. **ინტერპრესნიუსი**

## პოლონეთსა და ბელორუსს შორის ურთიერთობები უკიდურესად იძაბება

პოლონეთმა ბელორუსიდან თავისი ელჩი გაიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ქვეყნის საგარეო უწყებაში თათბირი მეზობელ სახელმწიფოსთან გამწვავებული ურთიერთობების გამო.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის ადამ როტფელდის თქმით, პოლონეთსა და ბელორუსს შორის დაპირისპირება არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ურთიერთობების საკითხი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროკომისიას მიმართა თხოვნით, მიიღოს ქმედითი ზომები ბელორუსიში პოლონური უმცირესობის უფლებათა დაცვის მიზნით. "ჩვენ უნდა ავუხსნათ ევროპას, რომ ეს ევროპული პრობლემაა," - განაცხადა ვარშავაში გამართულ პრესკონფერენციაზე როტფელდმა.

პოლონეთსა და ბელორუსს შორის ურთიერთობების მკვეთრად გაუარესება წინა დღეს მომხდარმა მოვლენებმა გამოიწვია. ქალაქ გროდნოში ბელორუსის შს სამინისტროს სპეცრაზმი "ბელორუსის პოლონელთა ასოციაციის" შტაბ-ბინაში შეიჭრა. მილიციელებმა 20-მდე ადამიანი დააკავეს, მათ შორის ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელი ანჟელიკა ბორისი. მათი ნაწილი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს, ხოლო ასოციაციის სამ წევრს სასამართლომ 10-დან 15 დღემდე პატიმრობა მიუსაჯა "პოლონელ ჟურნალისტებთან ეთნიკური პოლონელების არალეგალური შეხვედრის ორგანიზებისთვის".

გუშინ ვარშავაში, ბელორუსის საელჩოსთან, საპროტესტო აქცია გაიმართა. "პოლონური ოჯახების ლიგის" პარტიის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა ბელორუსში "პოლონელთა ასოციაციის" წევრების და პოლონელი ჟურნალისტების დაპატიმრება გააპროტესტეს. აქციის მონაწილე რამდენიმე ათეული ადამიანი "ლუკაშენკოს რეჟიმის განუკითხაობის შეჩერებას" მოითხოვდა. მანიფესტანტებმა ბელორუსის საელჩოს შენობის წინ კარავი გაშალეს. ამჟამად ბელორუსში 400 ათასამდე ეთნიკური პოლონელი ცხოვრობს.

**24 საათი**

## საუკუნის წყალდიდობა ინდოეთში

ასეულობით ადამიანი დაიღუპა და დაშავდა მაჰარაშტრას შტატში, ინდოეთის ისტორიაში უძლიერესი წყალდიდობის შედეგად. ბოლო სამი დღის განმავლობაში მუსონური წვიმებით გამოწვეულმა მეწყერმა და წყალდიდობამ უამრავი ადამიანი დატოვა საცხოვრებლის გარეშე.

მხოლოდ შტატის დედაქალაქ მუმბაიში (ყოფილი ბომბეი) გამძვინვარებულ სტიქიას 245 ადამიანი შეეწირა. ქალაქიდან სამხრეთით, 150 კმ-ის დაშორებით მდებარე ერთ-ერთ სოფელში ღვარცოფის შედეგად 100-მდე ადამიანი დაიღუპა. მაშველები მათ ცხედრებს სახლების ნანგრევებში ეძებენ.

წყლის ძლიერმა ნაკადმა სახლები და ხიდები დაანგრია, დაზიანებულია გზები, ბევრი რაიონი ელექტროენერგიისა და სატელეფონო კავშირის გარეშე დარჩა. არ მუშაობს მუმბაის საერთაშორისო აეროპორტი. მაჰარაშტრას შტატის დედაქალაქთან - ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო კვანძთან - შეწყვეტილია სარკინიგზო მიმოსვლა.

ბევრ რაიონში სურსათის ნაკლებობა იგრძნობა. ვაჭრობა, პრაქტიკულად, შეწყვეტილია. საქონლის შეტანა შეუძლებელია, რადგან ქუჩების ნაწილი დატბორილია, ნაწილი კი მრავალსაათიანი საცობებითაა პარალიზებული.

სტიქიური უბედურებით მიყენებულ ზარალს სპეციალისტები უკვე ათეულობით მილიონ რუპიად აფასებენ. სამაშველო სამუშაოები და ოპერაციები, რომელშიც 5 000-ზე მეტი ინდოელი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს, გრძელდება.

**24 საათი**

## ორი სიტყვით

**ერაყი.** საინფორმაციო სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერაყში მორიგი შეიარაღებული თავდასხმისას 6 ჯარისკაცი დაიღუპა, რომლებიც ერაყის არმიაში მსახურობდნენ. ნაღმმტყორცნებითა და ავტომატებით შეიარაღებული პირების თავდასხმა ბააქუბასა და ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქის ხან ბანისაადის საგუშაგოებზე მოხდა. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**აზია.** ლაოსის დედაქალაქში ვიენტიანში, ასეან-ის ფორუმის დასრულების შემდეგ გაკეთებული განცხადების თანახმად, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის საგარეო უწყებათა მეთაურები შეთანხმდნენ, მაქსიმალური ძალისხმევა მიმართონ ოფიციალური ფხენიანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, პეკინში მიმდინარე ექვსმხრივ მოლაპარაკებებში პროგრესის მიღწევისაკენ.

"ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით პეკინში მიმდინარე მოლაპარაკებებში რეალური პროგრესის მიღწევა მნიშვნელოვანია ამ საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტისა და სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობების ნორმალიზების თვალსაზრისით. საამისოდ კი ორივე მხარემ მზადყოფნა უკვე გამოთქვა," - ნათქვამია სამხრეთ კორეის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**ეგვიპტე.** ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი კვლავ აპირებს კენჭისყრას სახელმწიფო მეთაურის პოსტზე, რომელიც მიმდინარე წლის 7 სექტემბერს გაიმართება.

"მე არჩევანი უკვე გავაკეთე. მე ვირჩევ თავისუფალ და დემოკრატიულ ეგვიპტეს და თქვენს წინაშე ახლა ვაცხადებ, რომ კვლავ ვაპირებ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას," - თქვა მუბარაქმა მინუფიას პროვინციაში, ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში ვიზიტისას. აღნიშნული დასახლებული პუნქტი, იგივე ალ-მასაი ალ ჰადიდი მუბარაქის მშობლიური რაიონია, სადაც მან საშუალო განათლება მიიღო. ეგვიპტის პრეზიდენტის განცხადებას იქ შეკრებილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ.

ეგვიპტის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებული ვადებით, საპრეზიდენტო კანდიდატთა რეგისტრაცია დღეს იწყება და 4 აგვისტოს მთავრდება. პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილ კანდიდატებს კომისიაში ამავე პარტიებიდან დამადასტურებელი დოკუმენტების შეტანა ევალებათ. რაც შეეხება დამოუკიდებელ კანდიდატებს, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად სახალხო საბჭოს (პარლამენტი), ეგვიპტის საკონსულტაციო და ადგილობრივი საბჭოების 250 დეპუტატის ხელმოწერა სჭირდებათ.

სექტემბერში დაგეგმილ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მუბარაქი პრეზიდენტის პოსტს ექვსწლიანი ვადით უკვე მეხუთედ დაიკავებს. **იტარ-ტასი**

# ყირგიზეთი ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებს

*უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში მაისში მომხდარი სისხლისღვრის შემდეგ, სამშობლოში სასიკვდილოდ განწირულ 400-მდე ადამიანს ყირგიზეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. თუმცა, აღნიშნულმა ქვეყანამ საკუთარ თავზე აღებული ვალდებულების ბოლომდე შესრულება ვერ შეძლო. მეზობელი უზბეკეთის გავლენის ქვეშ მოქცეულმა ყირგიზეთმა, ოფიციალური ტაშკენტის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, მას ოთხი ლტოლვილი გადასცა. ამ ფაქტმა მსოფლიოს შეშფოთება გამოიწვია. გაერო უზბეკეთის ციხეებში ადამიანთა წამების მრავალრიცხოვან ფაქტებზე ალაპარაკდა, ხოლო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ყირგიზეთს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისკენ მოუწოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ აზიურმა ქვეყანამ (რომელსაც ცენტრალურ აზიაში ყველაზე დემოკრატიულადაც მიიჩნევდნენ) მსოფლიოს ნდობა დაკარგა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ყირგიზეთში მყოფ ლტოლვილებს უახლოეს მომავალში კანადა შეიფარებს.*

ნანა ნასყიდაშვილი

ანდიჟანში, 2005 წლის მაისში, უზბეკეთის ხელისუფლების ბრძანებით მოწყობილი სისხლისღვრის შემდეგ, რომელმაც ასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა, ქვეყნის 400-მდე მკვიდრმა პოლიტიკური თავშესაფარი მეზობელ ყირგიზეთში მიიღო. დევნილები მათთვის გამზადებულ სპეციალურ ბანაკში განათავსეს, სადაც ისინი დღესაც ცხოვრობენ. სამშობლოდან წასულ უზბეკეთის მოქალაქეებს ლტოლვილთა სტატუსი მიენიჭათ და გავრცელებული დაუზუსტებელი ინფორმაციის თანახმად, მათი სხვა ქვეყნებში, მათ შორის კანადაში გადაყვანა იგეგმება. სავარაუდოდ, ლტოლვილები ამერიკის კონტინენტზე რუმინეთში გამგზავრების შემდეგ მოხვდებიან.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოფიციალურმა ტაშკენტმა ლტოლვილთა უზბეკეთის მთავრობისთვის გადაცემის მოთხოვნა ყირგიზეთს არაერთხელ წაუყენა. ანდიჟანის სისხლიანი ტრაგედიის სცენარისტთა აზრით, ლტოლვილთა შორის ექსტრემისტები და მაისის "აჯანყების" ლიდერები არიან. სხვადასხვა სახელმწიფოებმა ყირგიზეთს ლტოლვილთა უზბეკეთის მთავრობისთვის გადაცემისგან თავის შეკავება ურჩიეს, რადგანაც მსგავსი ქმედება საერთაშორისო შეთანხმების დარღვევად ჩაითვლება. სამწუხაროდ, ყირგიზეთმა მასზე დაკისრებული მოვალეობისთვის ბოლომდე თავის გართმევა ვერ შეძლო.



*უზბეკ ლტოლვილებს ყირგიზეთში საფრთხე ემუქრებათ.*

შექმნილ ვითარებაში, ოფიციალური ბიშკეკი ტაშკენტისგან გარანტიების მოპოვებას შეეცდება იმის თაობაზე, რომ მის მიერ უზბეკეთის მთავრობისთვის გადაცემული პირები წამებისა და სასტიკი მოპყრობის ობიექტები არ გახდებიან. ტაშკენტი აღნიშნულ საკითხზე რეაგირებას ჯერ არ ახდენს, თუმცა მან ცოტა ხნის წინ ყირგიზეთს კიდევ 130 ლტოლვილის ტაშკენტისთვის გადაცემა სთხოვა. აღნიშნულ ხალხს ტაშკენტი ექსტრემისტებად მიიჩნევს. თუმცა, გაერო-ს წარმომადგენელის კარლოს ზაკანინის თქმით, ყირგიზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ლტოლვილთა ბანაკში რადიკალურად განწყობილი მუსლიმები არ არიან.

უზბეკეთის ხელისუფლების მიერ გავრცელებული მონაცემების თანახმად, ანდიჟანში მაისში მომხდარი სისხლისღვრის შედეგად 173 ადამიანი დაიღუპა. თანაც ოფიციალური ტაშკენტი დღემდე ირწმუნება, რომ მოკლულთა უმრავლესობას ისლამისტი ექსტრემისტები წარმოადგენდნენ. აღნიშნული ცნობების სიმართლეში როგორც სხვადასხვა ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, ასევე გაერო-ს წევრებს ეჭვი ეპარებათ. მათი ასეთი დამოკიდებულება, შექმნილი ვითარების ფონზე, როდესაც თვითმხილველთა განცხადებით ანდიჟანის ტრაგედიას 500-მდე ადამიანი შეეწირა, გასაკვირი არ არის. მსოფლიოსთვის ის ფაქტიცაა ცნობილი, რომ უზბეკეთს მეზობელ ყირგიზეთზე დიდი გავლენა აქვს. ის აღნიშნულ ქვეყანას ბუნებრივი აირით ამარაგებს და იმ შემთხვევაში, თუ ყირგიზეთი მის მიმართ ტაშკენტის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, უზბეკეთს მისთვის გარკვეულ პრობლემათა შექმნა შეუძლია. მსგავსი რამ მეზობელ სახელმწიფოთა "მეგობრობის" ისტორიაში უკვე მომხდარა. მაგალითად, გარკვეული დროის წინ უზბეკეთმა ყირგიზეთის სამხრეთ რეგიონებს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა.

# ისრაელი ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის "დაბრუნებას" მიესალმება

### თუმცა, არიელ შარონს პარიზში მანიფესტაციებით ხვდებიან

*ისრაელის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს პარიზში "უსაფრთხოების კედლის" მშენებლობის მოწინააღმდეგენი მანიფესტაციით შეხვდნენ. 26 ივლისს საფრანგეთის დედაქალაქში ჩასული ისრაელის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი სამ დღეს გასტანს. ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მინაწილეობისათვის არიელ შარონმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს.*

თიკო მაჭარაშვილი

პალესტინასთან მიმართებაში ისრაელის პოლიტიკის ასობით მოწინააღმდეგემ პარიზის ცენტრში 26 ივლისს, როდესაც საფრანგეთის დედაქალაქში ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი ჩავიდა, საპროტესტო აქცია გამართა. სამშაბათს საღამოს 500 მანიფესტანტი შეიკრიბა პარიზში, წმინდა მადლენის ეკლესიასთან.

მანიფესტანტები აპროტესტებდნენ ისრაელის მიერ იორდანიაში 650-კილომეტრიანი გამყოფი კედლის მშენებლობას. "შეაჩერეთ კედლის მშენებლობა", "ძირს შარონის პოლიტიკა, ოკუპაციისა და ანექსიის კედელი," - ასეთი მოთხოვნებით გამოდიოდნენ მანიფესტანტები, რომლებიც "სამარცხვინო კედლის" დანგრევას მოითხოვდნენ.

არიელ შარონი საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა მიიღო. ისრაელის პრემიერ-მინისტრი, რომელმაც მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ჟაკ შირაკს ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მინაწილეობისათვის, პარიზში თავის ვიზიტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. "**მჯერა, რომ ჩემი ვიზიტი გააუმჯობესებს საფრანგეთთან ჩვენს ურთიერთობას,** - განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, - **ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის**."

საფრანგეთმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაში. საგულისხმოა, რომ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ისრაელი პირველად ემხრობა პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაში საფრანგეთის აქტიურ ჩარევას. **"ისრაელსა და საფრანგეთს სურთ, გააუმჯობესონ ორმხრივი ურთიერთობა ყველა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის სამხედრო და სტრატეგიულ საკითხებში,"** - განაცხადა ისრაელის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა, არიელ შარონთან დაახლოებულმა პირმა, რომელმაც თავისი ვინაობის დასახელება არ ისურვა.



*შარონის სტუმრობამ პარიზში ისრაელ-საფრანგეთს შორის არსებულ დაძაბულობის განმუხტვას უნდა შეუწყოს ხელი*

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა "ისტორიულ გადაწყვეტილებად" შეაფასა ისრაელის მიერ ღაზას სექტორის გასუფთავება, რომელიც აგვისტოს შუა რიცხვებში არის დაგეგმილი. პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მხარს უჭერს პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. **"ებრაულმა სახელმწიფომ უნდა შეძლოს უსაფრთხოებაში ცხოვრება,"** - აღნიშნა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა შირაკმა შეხვედრაზე ლიბანის საკითხიც განიხილეს. გარდა ამისა, ორი ქვეყნის წარმომადგენელმა ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანთან წარმოებულ მოლაპარაკებებზეც ისაუბრეს.

**"ნათელია, რომ საფრანგეთი, რომელსაც სურს ახლო აღმოსავლეთში დაბრუნება, მიხვდა, რომ ისრაელს გვერდს ვერ აუვლიდა,"** - დასძინა არიელ შარონის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის 18 ივლისს, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა მოუწოდა საფრანგეთში მცხოვრებ ებრაელებს, დაბრუნებულიყვნენ ისრაელში, რათა თავი დაეღწიათ ანტისემიტიზმისგან. თუმცა, როგორც ჩანს, დღეს საფრანგეთში სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**პროექტი "ილია ჭავჭავაძე"**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**

# აცხადებს კონკურსს

## ვაკანტური ადგილის დასაკავებლად

პროექტი ილია ჭავჭავაძე

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაწყებითი და საშუალო განათლების რეფორმირების მიზნით მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს "ილია ჭავჭავაძე" (შემდგომში - პროექტი), რომელიც ფინანსდება მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტიდან.

მიზნების ეფექტურად განხორციელებისათვის პროექტი დაყოფილია კომპონენტებად და ქვეკომპონენტებად.

პროექტის განხორციელებაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას და პასუხისმგებელია პროექტის შეფასებასა და მონიტორინგზე.

საკოორდინაციო ცენტრი აპირებს ადგილობრივი კონსულტანტის დაქირავებას პროექტის საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველსაყოფად. ამ ვადის დასრულების შემდეგ პროექტის საკოორდინაციო ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები უნდა იცნობდნენ მონიტორინგისა და შეფასების პრინციპებს. კონსულტანტის ძირითადი მიზანი იქნება მონიტორინგისა და შეფასების სამომავლო რესურსის შექმნა, ისევე, როგორც მიმდინარე პროექტისა და მისი აქტივობების შეფასება და მონიტორინგი.

საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**კონსულტანტი პროექტის მონიტორინგისა და შეფასების საკითხებში**

**ძირითადი მოვალეობები:**

1. კონსულტანტი პასუხისმგებელია პროექტის მონიტორინგსა და შეფასებაზე. იგი იმუშავებს ხელმძღვანელობასთან და ადგილობრივ კონსულტანტებთან შემდეგი ამოცანების განსახორციელებლად:

- მონიტორინგის გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს;

პროექტის თანამშრომლების ტრენინგი მონიტორინგის მიზნების, შემადგენელი ელემენტების, მონაცემთა შეგროვების და პროექტზე მუშაობის პროცესში ინფორმაციის ეფექტურად გამოყენების საკითხებში;

- პროექტის აქტივობებთან დაკავშირებული საბაზისო მონაცემების შეგროვება;

შედეგების მონიტორინგი;

- ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე.

2. ასევე, კონსულტანტი დაეხმარება სამინისტროს სხვა თანამშრომლებს განავითარონ უფრო ფართომასშტაბიანი მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია რომელიც მოიცავს:

ყველა კომპონენტის ურთიერთკავშირს საერთო მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიის ფარგლებში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემთა და ძირითადი ინდიკატორების გამოყენებით.

- სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად კითხვარების შექმნას ეროვნული და რეგიონალური კვლევებისათვის, რომელსაც განახორციელებს დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აზრის კვლევის ორგანიზაციები.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება, მაგისტრის ხარისხი (ტრეინინგი მონიტორინგისა და შეფასების სფეროში პრიორიტეტულია).

გამოცდილება პროექტის მენეჯმენტის, სტრატეგიისა და კოორდინაციის საკითხებში

- საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პროექტებზე მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება

საქართველოს განათლების სისტემის კარგი ცოდნა

- ინგლისური ენის კარგი ცოდნა (წერა და საუბარი)

კომპიუტერის ცოდნა (სტატისტიკური და პროექტის მართვის პროგრამები)

- კომუნიკაციისა და თანამშრომლობის კარგი უნარ-ჩვევები

**ანგარიშვალდებულება:**

კონსულტანტი ანგარიშებს წარუდგენს პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს და განათლებისა და მეცნიერების მინისტრს.

**დასაქმების ხანგძლივობა:**

აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია და მოიცავს ერთ წელს.

წარმატებული მუშაობის შემთხვევაში ხელშეკრულება გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13.
ან
გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: **GEP@mes.gov.ge**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ინტერნეტ გვერდზე:

**www.reform.edu.ge**
ვაკანსიები და განცხადებები
განაცხადის ფორმა

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2005 წლის 12 აგვისტო.**

# "ხელოვნების ზეიმის" ორი დღე

## გერმანულ-ქართული ორკესტრის პრემიერა და ნიჭიერი ბავშვები ფესტივალზე

პირველი გვერდიდან



"ბორჯომის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის" მნიშვნელოვანი შენაძენი უდავოდ გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრია, რომელიც ფესტივალის გადასარჩენად სახელდახელოდ შეიქმნა და რომელსაც უკვე ბევრი საინტერესო გეგმა აქვს საერთაშორისო მუსიკალურ ასპარეზზე. ორკესტრის პრეზენტაცია ბათუმში ფესტივალის პირველ დღეს გაიმართა და საკმაოდ წარმატებულადაც. ქართველი და გერმანელი მუსიკოსები ერთად მუშაობის ექვსდღიანი გამოცდილების შემდეგ ქართველი მსმენელის წინაშე მოცარტის, ბახის, სარასატეს, პაგანინის, ვივალდის, ბახი-შუმანისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებებით წარდგნენ. იმის გამო, რომ იუსტუს ფრანცმა ვერ შეძლო "ხელოვნების ზეიმში" მონაწილეობა, ფესტივალზე ვერ შესრულდა შოსტაკოვიჩი (კონცერტი ფორტეპიანოს, საყვირისა და ორკესტრისთვის). ცხადია, ისეთი დიდი ფიგურის ჩამოუსვლელობამ, როგორიც გერმანელი დირიჟორი და პიანისტი იუსტუს ფრანცია, გარკვეული დისონანსი შეიტანა ლონისძიებაში და მსმენელს გული დასწყვიტა, მაგრამ ხელოვნების ზეიმზე არასასიამოვნოზე მეტად სასიამოვნო სიურპრიზები ჭარბობს. პირველი ორი დღის განმავლობაში "ბორჯომის ფესტივალმა" ბათუმის თეატრის აუდიტორიას ისეთი განწყობა შეუქმნა, რასაც მაღალი ხელოვნების ნამდვილი ზეიმი უნდა იწვევდეს ხელოვნების მოყვარულებში. მათ, ვინც ლიანა ისაკაძის ორგანიზებული ფესტივალებით განებივრებულები არიან, იციან, რომ ამ განწყობის გარეშე ისაკაძის კონცერტები წარმოუდგენელია. ბრწყინვალე სოლისტი და არაჩვეულებრივი დირიჟორი, რომელსაც შეუძლია, საათების განმავლობაში ისე აიყვანოს ხელში მთელი დარბაზი, როგორც მთელი ორკესტრი, ამჟამადაც შეუდარებელია სცენაზე. მსმენელი მოხიბლული დარჩა ქართველი მუსიკოსის მიერ ჩამოყალიბებული ორკესტრითაც, რომელსაც ევროპაში ცნობილი ახალგაზრდა მევიოლინე, დირიჟორი და კომპოზიტორი იური გილბო დირიჟორობს (გილბო ორკესტრის დირექტორიც არის). ორკესტრი საქართველოსა და გერმანიაში მოღვაწე მუსიკოსებს აერთიანებს. ყველა მათგანი გამოცდილი და მაღალი დონის შემსრულებელია. იური გილბომ ლიანა ისაკაძესთან ერთად გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრის წევრები ცნობილი ევროპული ორკესტრებიდან მოიწვიეს.

"ხელოვნების ზეიმის" პირველ დღეს ქართველმა მსმენელმა ორი ახალგაზრდა ნიჭიერი შემსრულებელი გაიცნო. იური რევიჩს და ფიოდორ რუდინს ლიანა ისაკაძემ ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. "მათია მომავალი, ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი", - გვითხრა მუსიკოსმა უმცროსი კოლეგების შესახებ. ქართველი მსმენელი განსაკუთრებით მოსკოველმა იური რევიჩმა (ვიოლინო) აღაფრთოვანა. 14 წლის მუსიკოსი ისაკაძის ნათლულია. არის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი - მოსკოვში ("21-ე საუკუნის ვირტუოზები", პირველი პრემია) და გერმანიის ქალაქ ოლდენბურგში (მესამე პრემია); ჰქონია გამოსვლები რუსეთის ეროვნულ, ახალგაზრდულ კამერულ და ფინეთის ახალგაზრდულ ორკესტრებთან ერთად; მონაწილეობს სპივაკოვის ფონდის პროგრამებში; არის "რუსული საშემსრულებლო ხელოვნებისა" და როსტროპოვიჩის ფონდების სტიპენდიანტი.

საფრანგეთში მცხოვრები 13 წლის ფიოდორ რუდინი ლიანა ისაკაძემ რამდენიმე თვის წინათ გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო კონკურსში (რომლის ჟიურის შემადგენლობაშიც იყო ისაკაძე) მოისმინა. რუდინი მოსკოველი მუსიკოსების ოჯახის წარმომადგენელია. მამა - ალექსანდრე რუდინი ვიოლონჩელისტი და დირიჟორი, ბაბუა კი - ედისონ დენისოვი ცნობილი რუსი კომპოზიტორია. 9 წლის ფიოდორი სამხრეთ საფრანგეთში ახალგაზრდა შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი გახდა; 11 წლის ასაკში წარჩინებით დაამთავრა პარიზის უმაღლესი რეგიონალური კონსერვატორია. 7 წლიდან კონცერტებს მართავს პარიზის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში, როგორც სოლისტი თანამშრომლობს სხვადასხვა ორკესტრთან, ხოლო ასაკის მიუხედავად, მის რეპერტუარშია სარასატეს, ვენიავსკის, პაგანინისა და ვეტანის ვირტუოზული ნაწარმოებები.

ნამდვილი სასიამოვნო სიურპრიზი იყო ფესტივალის პრემიერა - ლიანა ისაკაძის მიერ კამერული ორკესტრისა და ჯაზური დრამისთვის დამუშავებული მუსიკალური ხუმრობები - პაგანინის 1, 4, 5 და 24 კაპრისები. ქართველი მუსიკოსის ნოვაცია ორკესტრთან ერთად ცნობილმა რუსმა დრამერმა ბორჯომის ფესტივალის ერთგულმა მონაწილემ ვლადიმერ ტარასოვმა შეასრულა.

ნიჭიერი ბავშვების თემა ფესტივალზე გუშინაც გაგრძელდა. იური რევიჩთან და ფიოდორ რუდინთან ერთად "ხელოვნების ზეიმზე" მონაწილეობა მიიღო (უკვე მეორედ) 9 წლის ირმა გიგანმა. პროგრამაში მცირედი ცვლილებები შევა დღევანდელ კონცერტზეც. როგორი იქნება ფესტივალის ბოლო დღე, ამაზე მოგვიანებით.

---

## ნინია კაკაბაძის სვეტი

# ჩვენი წარმატებები



**1.** მაშინ როდესაც თბილისის აალებულ ქუჩებში დავდივარ, ასე მგონია სამყაროს სრულიად საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თვალებით აღვიქვამ. პრეზიდენტის თვალით აღქმული სამყარო კი გაცილებით ლამაზია, ვიდრე სინამდვილე; იქ მკვეთრი და, ასე ვთქვათ, ჭყეტელა ფერებია, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ფონი, მახსოვს ბავშვობაში ახალი 24-ფერიანი ფლომასტერები რომ შემოიტანეს გაყიდვაში, იმასავით არის, მაგრამ, მგონი, ჩემი და ჩემი პრეზიდენტის სამყარო, კიდევ უფრო მრავალფეროვანია. იმისათვის, რომ სრულად აღიქვათ ჩვენი სამყარო, მე-9 საავადმყოფოსთან დადექით და კავსაძის ქუჩის კუთხისკენ მიაპყარით თვქენი მზერა. შემდეგ ვაკის პარკის მიმართულებით გაეშურეთ და იქაც ნახეთ, სასუქებით გაბერილი სტაფილოს ფერები, ისინი ყველგან დაგხვდებიან: სტაფილო, კიტრი, ჭარხალი, მარწყვი, ჟოლო, ტიტა... მოკლედ სულ ია-ვარდით მოფენილია ჩვენი სამყაროს გზატკეცილები. ვისაც ჩვენს ფერებში შეღებილი სამყარო არ გაკმაყოფილებთ - სხვა ქუჩებით იარეთ.

**2.** ახალი მერიც გვყავს და მადლობა ღმერთს, "კარენოი" თბილისელია, მთაწმინდაზე გაიზარდა, იცის ნამდვილი თბილისის ხიბლი. კბილებიც კარგი აქვს, ღიმილი ჰშვენის - კარგი ტუჩ-კბილი აქვს ნამდვილად. გარკვეული პრობლემები აქვს გარეგნულ ნიშნებში, მაგრამ ვიცი, შემოდგომაზე ისეთ თბილისობას მოგვიწყობს, უბნიდან უბანში სირბილისას იმ ზედმეტ კალორიებსაც დახარჯავს. თბილისობა კი ისეთი იქნება, ნამდვილ თბილისელებს რომ გვეკადრება, ისეთი კი არა მისი წინამორბედები რომ გვიწყობდნენ. კი უნდოდა ხალხს, ვითომ ამბობდნენ, მერი უნდა ავირჩიოთო, მაგრამ როგორც კი გიგა ბოკერიამ თქვა, არ არის აუცილებელი არჩევა, ასეც კარგიაო, რუმინეთში და ფინეთშიც ასეაო, მას მერე ვინ დაეძებს, მისი ნათქვამი ჩემთვის კანონივით არის - გიგამ თქვა, ღმერთმა თქვა, ვიცი - ის ხომ მისი ბაგეებით ღაღადებს. ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, დამეთანხმებით თუ არა, ყველაზე ჭკვიანია, ტყულიად კი არ ხდება, რომ კამათში ყველას უგებს, ქვეყნის პირველი, მეორე თუ რიგითი მოქალაქე მის მოსაზრებებს შეუცვლელად იმეორებს. გიგა ჭეშმარიტებებს ღაღადებს, ჩვენი ვალია, ვირწმუნოთ და რაც მთავარია, გავიმეოროთ უცვლელი ფორმით (მოსაზრებების ინტერპრეტირება დაუშვებელია). ისიც ითვალისწინებს ჩვენი ანუ საზოგადოების ინტერესებს, ვითხოვდით "კარენოი" თბილისელ მერს, ვანო ზოდელავას; მერე, რომ არ გვღირსებია - მივიღეთ, მოკლედ გულმოდგინედ მოუსმინეთ გიგა ბოკერიას, მას ჩვენი პრეზიდენტი და მთელი ხელისუფლებაც გულმოდგინედ უსმენს და რასაც იტყვის დაიჯერეთ!

**3.** ერის მოღალატე არუთინიანიც დაიჭირა ჩვენმა ხელისუფლებამ. მე მაინტერესებს, რომელ ქვეყანაში იჭერენ ასე სწრაფად ტერორისტებს?! არსად. დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები არა თუ ცოცხალ ტერორისტს, კამიკაძეების ფერფლსაც კი ვერ პოულობს. ჩვენი ანტიტერორისტული სამსახურის მუშაკებს კი სადარბაზოში უეცრად შემოხვდათ ადგილობრივი ტერორისტი, სულ რამდენიმე საათი მოუწიათ დევნა და შემდეგ დაიჭირეს. ერთი იყო, მაგრამ მკვირცხლი. მე მჯერა ბატონი ვანო მერაბიშვილის. უმადურობა იქნება მისი წარმატებები არ დავინახოთ და არ დავაფასოთ, თანაც გიგა ბოკერიამაც თქვა კარგად მუშაობენო.

**დაბოლოს**. აღარ მინდა ჩემი ქვეყნის წარმატებებზე ვისაუბრო, მხოლოდ დაუნახავი თუ ვერ დაინახავს იმას, რომ საქართველო ჭეშმარიტი დემოკრატიის გზას ადგას, სადაც სამართალი, კანონი, ლიბერალური ფასეულობები და კეთილსინდისიერება ბატონობს. ამას ჩვენი ინტელიგენციის ახალი ღირსშესანიშნავი წარმომადგენლებიც ამბობენ, თუ ხელისუფლებას არ დავუჯერებთ, მათი ხომ მაინც გვჯერა. ვინც ასე არ ფიქრობს და როგორც თავად გაიძახიან, ობიექტურად აფასებენ მოვლენებს, ვითომ კარგსაც ვხედავთ და ცუდსაცო, ეს მტკნარი სიცრუეა, ისინი არაფრით განსხვავდებიან შალვა ნათელაშვილისგან, ჯონდი ბაღათურიასგან და მანანა არჩვაძისგან - ეს ვაიინტელიგენტები და ფსევდოსამართლიანები. ვინც ასე არ აღიქვამს სამყაროს, ვინც ასეთ ნათელ ფერებში არ ხედავს ჩვენს ქვეყანას და მის მომავალს და ვისაც გიგა ბოკერიასი არ სჯერა - ბევრს არაფერს ვიტყვი - ის ანტისახელმწიფოებრივად აზროვნებს!

---

# მათთვის, ვისაც დაავიწყდა

ნოთორიოს B.I.G. არავის დავიწყებია. და თუ ვინმეს მეხსიერებაში მისი დამსახურებები გაუფერულდა, მალე კინოსტუდია "ფოქს სერჩლაითი" გაახსენებს ყველაფერს. სტუდიამ დაიქირავა ჟურნალისტი ჩეო ჰოდარ კოკერი - ადამიანი, რომელმაც რეპერისგან სიკვდილამდე ბოლო ინტერვიუ აიღო და სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარის დაწერა მას მიანდო. პროექტს რეჟისორი ანტუან ფუკუა განახორციელებს (ფილმი "Training Day") და ეცდება, ნოთორიოსის ცხოვრება მაქსიმალურად რეალისტურ ფერებში აღწეროს.

ნოთორიოს B.I.G.-ის ნამდვილი სახელია ქრისტოფერ უოლესი. ის ჯერ Biggie Smalls გახდა - თავისი დიდი გაბარიტების გამო, შემდეგ - Notorious B.I.G. ამ დროისთვის ის უკვე სახელგანთქმული კაცი იყო ჰიპ-ჰოპში დასავლეთიდან აღმოსავლეთ სანაპირომდე. ნოთორიოსი დაეხმარა შონ ფი დიდის სავაჭრო ნიშნის Bad Boy-ის ჩამოყალიბებაში. ის თავიდანვე ეხმარებოდა დღეს უკვე ვარსკვლავებად ქცეულ ლილ`კიმსა და ცოლს ფეით ევანსს.

საზოგადოებამ კარგად იცის B.I.G.-ისა და თუფაქ შაქურის ხანგრძლივი მტრობის შესახებ. თუფაქიც ლას ვეგასში 1996 წელს მოკლეს. 1997 წლის მარტში კი B.I.G.-იც მსგავსი სიკვდილით მოკვდა - ლოს ანჯელესში წვეულებიდან გამოსული დაცხრილეს.

B.I.G.-ის მკვლელობა დღემდე გაუხსნელი საქმეა. 2002 წელს ფეით ევანსმა სამოქალაქო სარჩელიც შეიტანა ლოს ანჯელესის პოლიციის წინააღმდეგ, რომელსაც მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებას უყენებდა. პროცესი ჯერაც არ დასრულებულა.

ფილმის პროდიუსერი B.I.G.-ის დედა ვოლეტა უოლესი და მისი ყოფილი მენეჯერები უეინ ბეროუ და მარკ პიტსი არიან. ბეროუს თქმით, ბოლო ხუთი წელიწადია, ისინი უშედეგოდ ცდილობდნენ ფილმის გადაღებას.

"შანსი მხოლოდ "ფოქს სერჩლაითმა" მოგვცა... ეს არ იქნება ფილმი მხოლოდ ჰიპ-ჰოპზე. ეს იქნება ფილმი ცხოვრებასა და სიყვარულზე. მისი მოყოლა მთელი ჰიპ-ჰოპის სამყაროსთვისაა ძალიან მნიშვნელოვანი", - დასძენს ბეროუ.

გადაღებები მომავალ წელს დაიწყება. ყველაზე რთული ნაწილი მსახიობების შერჩევა იქნება: "უმნიშვნელოვანესი ელემენტი ზედგამოჭრილი მსახიობის პოვნაა, რომელიც B.I.G.-ის როლს შეასრულებს", - აცხადებს ბეროუ.

რაც შეეხება სცენარს, გადამღებ ჯგუფს გამოცდილი ჟურნალისტის ჩეო ჰოდარ კოკერის დიდი იმედი აქვს. ის წერდა გამოცემებისთვის "ვაიბ", "ლოს ანჯელეს ტაიმსი" და "პრემიერი". ის ასევე არის ავტორი წიგნისა: "ნოთორიოს B.I.G.-ის სიცოცხლე, სიკვდილი და სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ". როგორც წინასწარვე აცხადებენ, ფილმის სცენარი ამ წიგნის მიხედვით არ გაკეთდება. კოკერი, ძირითადად, უოლესის ოჯახის წევრების მონათხრობს დაეყრდნობა.

---

# ერთი უცნაურობა "ერთი პატარა ინდიელისგან"



ვისაც ეგონა, რომ ბიორკის ბოლო ალბომი "მედულა" უცნაური იყო, მოვახსენებთ, რომ ჯერ სიტყვა "უცნაური" მთელი სიგრძე-სიგანით არ შეუგრძვნია. კიდევ უფრო უცნაური 25 ივლისიდან დაიწყო. იმ დღეს გაყიდვაში გამოვიდა ბიორკის ახალი ალბომი, რომელიც მან ბოიფრენდის, ვიზუალური ხელოვნების ყველაზე ცნობილი არტისტის, მეთიუ ბარნის ფილმისთვის გააკეთა. Drawing Restraint 9 - ეს ფილმის სათაურია, რომელშიც ბიორკი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

მეთიუ ბერნი კი, ძველებურად, ილებს. ხუთნაწილიანმა ფილმმა Cremaster Cycle-მა ის ყველაზე ახალგაზრდა ხელოვანად აქცია, ვისაც გუგენჰეიმის მუზეუმმა რეტროსპექტივა მიუძღვნა (2003 წ. ნიუ იორკი).

ასე რომ, 25 ივლისამდე, დიდი უცნაურობის მოლოდინში, მელომანები დღეებს ითვლიდნენ. 11-ბილიკიანი ალბომი მთლიანად ბიორკის მიერ არის დაწერილი. ვოკალი ყველაზე ნაკლები დოზებით არის წარმოდგენილი. მუსიკა უფრო სხვადასხვა ინსტრუმენტზე, მათ შორის, არფასა და ჩელესტაზე ექსპერიმენტი გახლავთ. გარდა ამისა, ვრცელი საორკესტრო პარტიტურა დაიწერა საყვირის, ტრომბონისა და ჰობოისთვის, დომინირებს ელექტრონული ბასიც, მღერის საბავშვო გუნდი, ანუ ეს ყველაფერი რადიკალურად განსხვავდება "მედულასგან", რომელშიც, ძირითადად, ბიორკის ვოკალი ისმოდა.

ახალი ალბომი არ ჰგავს არც ბიორკის მეორე კინო-ნამუშევარს - ლარს ფონ ტრიერის "წყვდიადში მოცეკვავეს", რომელიც ბიორკმა კინოს და თეატრის მუსიკის ტრადიციებით შექმნა, ფილმში შესრულებული როლისთვის კი კანის კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობის პრიზით დაჯილდოვდა.

ახალი ალბომი უფრო იაპონური მუსიკის გავლენითაა შექმნილი და გასაკვირი არცაა, ფილმს ხომ მეთიუ ბერნი ვეშაპებზე მონადირე გემზე, ნაგასაკის ყურეში იღებდა. ბიორკმაც ყველაფერი გაითვალისწინა, ვეშაპზე ნადირობის უძველესი ტრადიციაც, იაპონური საკრავების თავისებურებაც და ერთ-ერთ მათგანს, უძველეს შოს შესანიშნავი მელოდია დაუწერა. ამ იაპონურ კომპოზიციას შოს სახელგანთქმული შემსრულებელი მაიუმი მიაიატა ასრულებს.

მუსიკალური მიმომხილველები კი წინასწარ ვარაუდობენ, რომ მეთიუ ბარნის გვერდით ბიორკის სახელის გამოჩენა მის ახალ ფილმს დღემდე არნახულ პოპულარობას მოუტანს. ბარნის სახელი ნიუ იორკის ხელოვანთა წრეში ყოველ მეორეს აკერია პირზე, მაგრამ ამ წრის გარეთ მას ბევრი თაყვანისმცემელი არ ჰყავს. 25 ივლისიდან კი ბარნი-ბიორკის დუეტი, როგორც ვარაუდობენ, სასწაულებს მოახდენს.

თვითონ ბიორკი "დეილი ტელეგრაფთან" ინტერვიუში აცხადებს:

"ჩვენი სამსახურეობრივი ურთიერთობების ახსნა ცოტა მიჭირს. ალბათ, რაც მეთიუში მომწონს მისი რეალისტობაა. ის ძალიან მიწიერი ადამიანია. ხარ ხელოვანი, ნიშნავს იმას, რომ ფუნქციურ სამუშაოს ასრულებს. მეთიუმ შეიძლება ორი სიტყვა მითხრას: "აგრესიული გემი" და მეც წავალ და დავუწერ მელოდიას აგრესიულ გემზე. მე მის იდეებს მელოდიად გარდავქმნი. ის უბრალოდ მიმანიშნებს. ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ დიდი ხანია ვიცნობთ და ასე რომ, ფილმის მუსიკაზე თითქმის მდუმარედ ვიმუშავეთ - უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის".

ეს ინტერვიუ, შეიძლება ითქვას, რომ ბიორკის პირადი ცხოვრების პირველი "გახსნაა". მას შემდეგ რაც ისლანდიელი მომღერალი ლონდონიდან ნიუ იორკში გადასახლდა, პირადი ცხოვრების კარიც ჰერმეტულად დახურა, რადგან გადაწყვიტა, რომ პრესას და გარეშე თვალს იქ აღარაფერი ესაქმებოდა. ბიორკს ბოლო წლებში ყველა ურთიერთობა მართლაც იმდენად გასაიდუმლოებული ჰქონდა, რომ მეთიუ ბერნისთან მისი რომანი, დისკის გამოსვლასთან ერთად, ერთგვარ სიურპრიზად იქცა. ბიორკი ამბობს:

"ალბათ, ერთად მუშაობას ჩვენი ურთიერთობის პირველ ეტაპზე არაფრით დავიწყებდით, მაგრამ ხუთი წელი გავიდა და ახლა ყველაფერი, მათ შორის საერთო პროექტებიც, ძალდაუტანებლად გამოგვდის. თანაც, დიდი არაფერი - მე და მეთიუმ კარგი საძირკველი ჩავყარეთ და მისი დანგრევა არავის შეუძლია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, უამრავი რამ დავთესეთ ერთად, და ახლა ვიგრძენი, რომ მოსავლის აღების დრო მოვიდა".

რაც შეეხება ფილმს, შინაარსის მოყოლა ბიორკს უჭირს. ან რას მოჰყვება - რეალურად, ფილმს სიუჟეტი არც აქვს. ერთი ეგ ვიცით, რომ მოქმედება ოკეანეში ხდება და კადრში ბიორკიც ჩანს და ხანდახან თავად მეთიუ ბერნიც. ბიორკი კი ამბობს: "უნდა დაჯდე და ისიამოვნო ისე, როგორც ბუნების ცქერით ტკბები ხოლმე. ცხადია, ფილმს აქვს სიუჟეტი, მაგრამ ძალიან აბსტრაქტული. მოდი, ასე ვთქვათ - ეს არ გახლავთ საშუალო ჰოლივუდური სურათი".

**P.S.** ახალი ალბომი ხმის ჩამწერმა კომპანიამ One Little Indian Records-მა ("ერთი პატარა ინდიელი") გამოუშვა. ის, რაც ზევით გიამბეთ, მხოლოდ შესავალი იყო. ნამდვილი მედიაკამპანია ახალი ალბომისა და ფილმის რეკლამირებისთვის რამდენიმე დღეში უფრო გახურდება. ბიორკი და მეთიუ ბერნი იაპონიაშიც ჩავლენ ამ მიზნით და ვენეციის კინოფესტივალზეც.

---


**ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სკოლა-ინტერნატი**

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მოსამზადებელ კლასში**

**2005-2006 სასწავლო წლისათვის**

სწავლება ქართულ ენაზეა. სწავლების პერიოდში მოსწავლეები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან.

საშუალო განათლების მიღებასთან ერთად მოსწავლეები ეუფლებიან ჯაგრისების დამზადებასა და მასაჟისტის პროფესიას, რის შემდეგაც ენიჭებათ მე-3 და მე-4 თანრიგის ოსტატისა და მედიცინის დის კვალიფიკაცია ჯანმრთელობის დაწესებულებებში მუშაობის უფლებით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გუთნის ქ. №6 (მეტრო "ავლაბარსა" და სასტუმრო "მეტეხს" შორის).

**ტელეფონები: 77-14-83, 77-32-33, 77-32-10.**



**შ.პ.ს "აჭარის ენერგოკომპანიის" განაცხადი**

შ.პ.ს "აჭარის ენერგოკომპანია" აცხადებს კონკურსს აუქციონის წესით, კუთვნილი შენობის ფართის (16 კვ.მ) იჯარით გაცემაზე, რომელიც მდებარეობს: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N 103, მე-6 სართული.

საიჯარო ფართის საწყისი ფასია 140 ლარი.

კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით განცხადებები მიიღება ამა წლის 27 აგვისტომდე.

ინფოთეკა

## NHL-მა კალენდარი გამოაქვეყნა

ხანგრძლივი შიდა დავა-კამათისა და ლოკაუტის შემდეგ ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ 2005/06 წლების რეგულარული ჩემპიონატის კალენდარი გამოაქვეყნა, სეზონი კი აიღებს სტარტს 5 ოქტომბერს. ამასთან პირველად NHL-ის ისტორიაში სეზონის გახსნის დღეს ლიგის ყველა გუნდი გავა მოედანზე.

5 ოქტომბერს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: "მონრეალ კანადიენსი" - "ბოსტონ ბრიუინზი", "ტორონტო მეიფლ ლივზი" - "ოტავა სენატორზი", "ედმონტონ ოილერზი" - "კოლორადო ეველანში", "ვანკუვერ კენაკსი" - "ფინიკს კოიოტსი". რაც შეეხება სტენლის თასის 2004 წლის გათამაშების ფინალისტ "კალგარი ფლეიმზს", მას გასვლითი მატჩი უწევს "მინესოტა უაილდთან".

გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დრაფტის პირველი ნომრის სიდნი კროსბის, რომელიც "პიტსბურგ პინგვინზმა" აირჩია, დებიუტი შედგება "ნიუ ჯერსი დევილზის" წინააღმდეგ.

და კიდევ, გაისად, 12-28 თებერვლის ჩათვლით, ლიგის სეზონში იძულებითი შესვენების ჯერი დადგება. საქმე ისაა, რომ 2006 წლის თებერვალში ტორინოს ზამთრის ოლიმპიური თამაშებია. რეგულარული ჩემპიონატი კი დასრულდება 18 აპრილს, ხოლო 21 აპრილიდან პლეი-ოფები დაიწყება და დასრულდება არაუგვიანეს 19 ივნისს.

## სავიოლა "ბარსელონას" ტოვებსო

"ბარსელონას" 23 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა ხავიერ სავიოლამ კატალონიური კლუბი დატოვა, რომელიც წინასასეზონო ტურნეში კლუბს იაპონიასა და ჩინეთში უნდა გაჰყოლოდა. "როიტერის" ცნობით, არგენტინელი თავდამსხმელი სხვა ესპანურ კლუბში გადასვლასთანაა ახლოს.

ადრე გავრცელებული ინფორმაციებით თუ ვიხელმძღვანელებთ, შესაძლოა, სავიოლა გადაბარგდეს "ესპანიოლში", "ატლეტიკოში" ან "სევილიაში", რადგან სწორედ ეს გუნდები იყვნენ არგენტინელით დაინტერესებულნი. "ბარსელონას" პრეს-ატაშეს თქმით, არგენტინელის მომავალი უახლოეს 24 საათში გაირკვევა.

## ბალაკი ბუნდესლიგის საუკეთესოდ დასახელდა

ჟურნალ "კიკერის" მიერ გამოკითხული სპორტული ჟურნალისტების მიერ გუშინ ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად მიუნხენის "ბავარიისა" და გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი დასახელდა. "როიტერის" ცნობით, ბალაკმა 516 ხმა დააგროვა და იმავე გამოკითხვაში, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გასულ "კიოლნის" თავდამსხმელ ლუკაშ პოდოლსკის (103 ხმა) და "ჰერტას" ბრაზილიელ ნახევარმცველ მარსელინიოს (99 ხმა) აჯობა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში "ბავარიის" კაპიტანი გამოკითხულ ჟურნალისტებს შორის სამჯერ დასახელდა ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად.

## "ჩელსი" საათში ტრანსფერებზე 13 ათას ფუნტს ხარჯავს!

ირკვევა, რომ ლონდონის "ჩელსის" მწვრთნელი ჟოზე მაურინიო ფეხბურთელთა ტრანსფერებზე საათში 13 ათას ფუნტ სტერლინგს ხარჯავს.

"ჩვენ დიდ ფულს ვხარჯავთ. "ჩელსისთვის" მოთამაშეთა შეძენა პრემიერლიგაში ყველაზე რთული სამუშაოა, რადგან უფლება არ გვაქვს რამე შეგვეშალოს. კლუბს მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელები სჭირდება. ჩვენ მხოლოდ საუკეთესო კლუბების საუკეთესო ფეხბურთელების შეძენა გვსურს. თუმცაღა, ეს გუნდები მოთამაშეების გასაყიდად გიჟურ თანხებს ითხოვენ", - ინგლისურ საინფორმაციო წყაროებთან საუბრისას აღნიშნავდა მაურინიო.

## ბატონს "უილიამსი" არ ხიბლავს

ფორმულა 1-ის მრბოლი ბარელი ჯენსონ ბატონი აცხადებს, რომ მიუხედავად ხელმოწერილი კონტრაქტისა 2006 წელს "უილიამსში" გადასვლა არ სურს. ირკვევა, რომ ბატონი კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ საჯინიბოს ხელმძღვანელობას სამ მილიონ ევროს სთავაზობს.

"BAR-ში დარჩენას ვაპირებ. "უილიამსის" მფლობელ ფრენკ უილიამს ვესაუბრე და სიტუაცია ავუხსენი. იმედია, გამიგებს, თუ რატომ მინდა BAR-ში დარჩენა, - ვითარებაში გვარკვევს ჯენსონ ბატონი. - მინდა მსოფლიო ჩემპიონი გავხდე და ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ BAR-ში ვხედავ, რა თქმა უნდა, "ჰონდას" შეწევნით".

ამასობაში ირკვევა, ბატონის მიერ უარყოფილ "უილიამს" გაისად ძრავებით მოამარაგებს Cosworth-ის ფირმა. ფირმა, რომელიც მიმდინარე სეზონში ძრავებით ამარაგებს "მინარდისა" და "რედ ბულის" საჯინიბოებს. "უილიამსსა" და Cosworth-ს შორის შეთანხმება კი 11,5 მილიონ ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული.

ფეხბურთი

# გამოცხადებული სირცხვილის ქრონიკა

## "ბანანცი" ბანანის რესპუბლიკაში

მიხეილ აბაიშვილი

რა უნდა მოგითხროთ? კიდევ კარგი, არც ერთმა ქართულმა არხმა არ გამოთქვა "ლოკომოტივ" - "ბანანცის" მატჩის ტრანსლირების სურვილი, თორემ, მერწმუნეთ, 90 წუთის განმავლობაში თქვენც ჩემსავით გულგასიებული უყურებდით თამაშს და მერე ხელის ჩაქნევაც კი დაგეზარებოდათ.

როდესაც ჩვენს ფეხბურთის გუნდებზე ვსაუბრობთ, ცნებას - ფეხბურთი, წინ აუცილებლად სჭირდება განსაზღვრება - "თანამედროვე ქართული". დიახ, ეს "თანამედროვე ქართული ფეხბურთი", ეროვნული თუ ასაკობრივი ნაკრები გუნდების, "ლოკომოტივების", "ვიტ ჯორჯიების", "ტორპედოების" და მისთანების შესრულებით, სტადიონთან ასი მეტრის სიშორეზე გავლის სურვილსაც კი დაუკარგავს კაცს.



"ლოკომოტივი" ჰაერში გამოკიდებული დარჩა

თქვენ წარმოიდგინეთ, "ლოკომოტივმა" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლით მატჩში 3:2 მოუგო! უფრო მეტიც: თამაშის მსვლელობაში "ლოკომოტივი" 3:0-ს იგებდა!! იმისათვის, რომ შემდეგ ეტაპზე გასულიყო, "ლოკომოტივს", საკუთარ კედლებში, 2-ბურთიანი სხვაობით არ უნდა წაეგო. "ლოკომოტივმა" 0:2 წააგო და, ალბათ, თამაშიდან გამომდინარე, 0:4-იც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხან მეკარემ, ხან ფორტუნამ, ხან ძალიან დაბალი სპორტული ოსტატობის მქონე "ბანანცის" ფეხბურთელებმა რკინიგზელები დაინდეს. მე თუ მკითხავ, პროფესია "რკინიგზელი" სულაც არ არის სამარცხვინო და საკმაოდ მაღალანაზღაურებადიცაა. ფეხბურთის თამაში ამ გუნდს არ შეუძლია და გუშინ გამოჩნდა, რომ პერსპექტივაც ვეებერთელა ნულის ტოლია. იქნებ, დროზე გეცადათ პროფესიის შეცვლა? მით უმეტეს, რომ დავით ონოფრიშვილს ამხელა სისტემაში ოცდაათიოდე სამუშაო ადგილის გამონახვა არც გაუჭირდება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ "ლოკომოტივი", ქართულ რეალობაში, სულაც არ არის რიგითი გუნდი. ამ გუნდმა წელს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასი მესამედ მოიგო. განცვიფრებული ვარ ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ინიციატივით, რომელიც ხვალ თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატს დაიწყებს. რა თექვსმეტ გუნდზეა ლაპარაკი, როცა ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, ფინანსური თვალსაზრისით, თუ საუკეთესო არა, ერთ-ერთი საუკეთესო, დღესვე დასაშლელი და თავიდან დასაკომპლექტებელია? ექსჩემპიონმა "ვიტ ჯორჯიამ" "ლომბარდ პაპასთან" წააგო, "ლოკომოტივმა" - "ბანანცთან", ეროვნულ ნაკრებს, მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალურ შესარჩევ შეხვედრამდე 2 კვირით ადრე, მწვრთნელი არ ჰყავს, უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდს საკუთარი სტადიონი არ აქვს. სამაგიეროდ, გვაქვს ისეთი ფენომენი, "თანამედროვე ქართული ფეხბურთი" რომ ეწოდება და ვთამაშობთ ქვეყანაში, რომელსაც, არა მხოლოდ საფეხბურთო გაგებით, "ბანანის რესპუბლიკის" განსაზღვრება რომ შეეფერება.

"ლოკომოტივი" ხვალ ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებმება და მისი ფეხბურთელები ისე სწრაფადვე დაივიწყებენ "ბანანცთან თავსლაფდასხმას, როგორც ეს სამი წლის წინ, "ბირკირკარასთან" გამოვარდნის შემდეგ გააკეთეს.

"ლოკომოტივში" დღეს თაობათა ცვლა მიმდინარეობს. თაობები იცვლება, მაგრამ ყოველი თაობა კლუბის ისტორიას ერთი "ბირკირკარათი" ან ერთი "ბანანცით" ყოველთვის ამდიდრებს.

ინფოთეკა

## როი ჯონს-უმცროსი ოქტომბერში ტარვერთან ბრუნდება

ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი როი ჯონს-უმცროსი, რომელსაც საკუთარი კარიერის განმავლობაში 49-ჯერ უზეიმია გამარჯვება, აქედან 38 ნოკაუტით და სამჯერაც წაუგია, და არცთუ დიდი ხნის წინათ კრივიდან წავიდა, რინგზე 1 ოქტომბერს ბრუნდება. "როიტერის" ცნობით, 36 წლის როი ჯონსი მესამედ უნდა შეხვდეს მსოფლიო რეიტინგის ლიდერ ანტონიო ტარვერს. ბრძოლა კი სავარაუდოდ ლას ვეგასში ჩატარდება.

## არმსტრონგი ველოსიპედიდან საბოლოოდ გადმოჯდა

"ტურ დე ფრანსის" აწ უკვე შვიდგზის გამარჯვებული 33 ამერიკელი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი, რომელმაც საკუთარი კარიერა "დიდი მარყუჟის" მეშვიდედ მოგებით დაასრულა, უმსხვილეს იტალიურ სპორტულ გამოცემა La Gazetta dello Sport-თან ინტერვიუში მტკიცედ განაცხადა, რომ რბოლებში დაბრუნებას აღარ აპირებს: "მცირედი შანსიც არ არსებობს იმისა, რომ პროფესიულ სპორტს დავუბრუნდე. მე მაიკლ ჯორდანი არ ვარ და მდინარეში ორჯერ შესვლასაც არ შევეცდები. რა თქმა უნდა, ველოსიპედზე საბოლოოდ უარს არ ვიტყვი. ერთადერთი მხოლოდ იმიტომ თუ დავჯდები მასზე, რომ ფორმა შევინარჩუნო. ისე კი გამორიცხული არაა, მაუნთინბაიკსა და კროსში მოვსინჯო საკუთარი ძალები. თუმცაღა, ამას მხოლოდ სიამოვნებისთვის გავაკეთებ. ერთი რამ კი გადაწყვეტილია, შოსეზე ველარ მიხილავთ".

# განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:**

1. შპს "კოკა-97"-ის მიერ, ტყიბულის რ-ნი სოფ. კოკას ტერიტორიაზე ლოლაშენის საბადოს აღმოსავლეთ გაგრძელებაზე ტეშენიტის გამოვლინების დამუშავების პროექტი;
2. CHF International -Georgia-ს მიერ ქედის რ-ნის სოფლების სარწყავი სისტემების მშენებლობა-ფუნქციონირების პროექტი;
3. CHF International -Georgia-ს მიერ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლების სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია გავრცობა;
4. CHF International -Georgia-ს მიერ ყვარლის რ-ნის სოფ. შაქრიანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი;
5. შპს "მერაბილიტის" მიერ საგარეჯოს რ-ნში სახარე ტბისა და გრძელი ტბის აზამბურის ჯგუფის მირაბელიტის საბადოების დამუშავების პროექტი;
6. ინდ. მეწარმე "ალექსანდრე დადიანიძის" მიერ გორის რ-ნის სოფ. კარალეთთან თევზსაშენის მოწყობის პროექტი;
7. შპს "საგზაო-სამშენებლო სამმართველო N1"-ის მიერ გორის რ-ნის სოფ. კარალეთთან საკალმახე მეურნეობის მოწყობის პროექტი;
8. შპს "კორომის" მიერ ასპინძის რ-ნის სოფ. ნაქალაქევში ინერტული მასალის კარიერის დამუშავების პროექტი;
9. ადიგენის რ-ნის საინიციატივო ჯგუფის მიერ, ადიგენის რ-ნის სოფ. ღორძეს ხელოვნური სამელიორაციო წყალსაცავის პროექტი;
10. შპს "ბორჯომი ნატურალ პროდაქტის" მიერ "ჩითახევის მტკნარი წყლის ოცი კუბური მეტრის ათვისების პროექტი.

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 12 სექტემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში, მის: თბილისი,Fგულუას ქ. N6**

**საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 12 სექტემბერს 12.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს "უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების" - "უმუშევრის დროებითი დასაქმების პროგრამის" ფარგლებში საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების მომსახურების შესასყიდად შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი 1. ოზურგეთის სამშობიარო სახლის ელექტრომომარაგება;

ლოტი 2. დაბა აბასთუმნის პოლიკლინიკის კაპიტალური რემონტი;

ლოტი 3. სურამის ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური საავადმყოფოს აღდგენა-რეაბილიტაცია;

ლოტი 4. წალენჯიხის რაიონის ზღვაიას სკოლის აღდგენა;

ლოტი 5. ჩხოროწყუს რაიონის სასწრაფო დახმარების სადგურის რეაბილიტაცია;

ლოტი 6. თიანეთის საავადმყოფოს უწყვეტი ელ. მომარაგების ხაზის მოწყობა.

2. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები - 2005 წლის სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 აგვისტოდან 16 აგვისტოს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**5.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს დადგენილება;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე - სასამართლო ორგანოდან;

დ) საგადასახადო დავალიანებები საქართველოს ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

ე) სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესაბამისი ლიცენზია;

ვ) უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაო:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3.<br>- | | | | | |

ვ) სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა-დანადგარები;

| N | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3.<br>- | | | | | |

ვ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტის ფასი | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| | | | |

ზ) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება:

| თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |

თ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები და ა.შ.)

ი) ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ (ფულადი სახსრები, სკარედიტო საშაულებები და ა.შ.)

კ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

6. მე-5 პუნქტში მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ შეეძლებათ 23 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

9. სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, 2005 წლის 2 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო)

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

11. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული ლოტების მიხედვით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია, თამუნა შალამბერიძე, მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 698485. ***E-mail:*** saesa-gov@yahoo.com

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
„მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

მისი აღმატებულება აშშ-ის ელჩი საქართველოში ბატონი რიჩარდ მაილსი



სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE
შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:
- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაულაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge



იმიჯ-ცენტრი გიწვევთ
მის საქართველო 2005-ში
მონაწილეობის მისაღებად.
17-დან 24 წლამდე ასაკის გოგონებო იჩქარეთ!
გამოავლინეთ თქვენი ნიჭი და მომხიბვლელობა!
გაიმარჯვეთ და მოიგეთ პრიზები!
გახდით მის საქართველო და გაემგზავრეთ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სილამაზის კონკურსებზე:
მის მსოფლიო, მის სამყარო და მის ტურიზმ ინტერნეიშენალზე!
Image CENTRE

ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ------------------------------------------

მისამართი ------------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------------------

დაბადების თარიღი ------------------------------------------

სკოლა ------------------------------------------

კლასი ------------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ------------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ------------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ------------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", გიგა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

# ყვითელი წყალქვეშა ნავი

"ყვითელმა წყალქვეშა ნავმა", რომლის პოპულარობამაც ბოლო წლებში მკვეთრად იმატა, ახალ მისამართზე - ლივერპულის ჯონ ლენონის სახელობის აეროპორტში დაიდო ბინა. ის ერთ-ერთი ტერმინალის გარეთ, ტროტუარზე განათავსეს და აეროპორტის წამყვანი თემატიკა - "ბითლზი" კიდევ უფრო განავრცეს.

ეს 25-ტონიანი წყალქვეშა ნავი 1984 წელს გაკეთდა, ბაღების საერთაშორისო ფესტივალისთვის. შემდეგ გრანდიოზულ ექსპონატზე ზრუნვა ქალაქის საბჭომ იკისრა და ის ჩავასის პარკში განათავსა. შარშან ყვითელი ნავი იქიდანაც გაიტანეს, რადგან ტერიტორიაზე ე.წ. "სამოთხის პროექტის" განხორციელება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ხელახლა უნდა დაიგეგმოს ქალაქის 42 აკრი. წყალქვეშა ნავი კი აეროპორტში გაწმენდილი და შეკეთებული წაიღეს. ლივერპულელებს იმედი აქვთ, რომ ეს სახალისო ექსპონატი მათ ქალაქს 2008 წლის ევროპის კულტურული დედაქალაქის ტიტულის მოპოვებაშიც დაეხმარება.

ლივერპულის ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელი მაიკ სტორი ამბობს: "რა უნდა იყოს უკეთესი, უფრო ეფექტური სავიზიტო ბარათი, რომლითაც ჩვენი ქალაქი სტუმრებს აეროპორტშივე შეეგებება? წყალქვეშა ნავი "ბითლზის" თემას აგრძელებს, ეს თემა კი ჩვენს აეროპორტში თანდათან იკიდებს ფეხს.



რაც შეეხება "ყვითელ წყალქვეშა ნავს" - ეს სიმღერა პოლ მაკარტნიმ ბავშვობიდან მეხსიერებაში ჩარჩენილი სიმღერების შთაგონებით დაწერა. მას რინგო სტარი მღეროდა.

# ჩოსერის რეპი



კანადელი ბაბა ბრინქმენი აქამდე ჩვეულებრივი რეპერი იყო, რომლის სახელიც კანადის საზღვრებს გარეთ თითქმის არავინ იცოდა, მაგრამ ბოლოს მან ისეთი საქმე ჩაიდინა, რომ ბრინქმენზე "ბი ბი სი"-ც ალაპარაკდა და მთელი ინგლისიც. მან ჯეფრი ჩოსერის ნაწარმოებები ჰიპ-ჰოპად გადააკეთა და იმღერა. ბრინქმენმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ სკოლის ასაკის ბავშვებში მე-14 საუკუნის ტექსტებისთვის აქტუალობა დაებრუნებინა. მას ზოგიერთი ნაწილის თანამედროვე ინგლისურ ენაზე თარგმნა მოუხდა, რათა უფრო გასაგები გაეხადა შინაარსი 21-ე საუკუნის თინეიჯერებისთვის.

რეპერი აპირებს, ინგლისში ჩავიდეს და სკოლები მოიაროს და ბავშვებს ჰიპ-ჰოპად გადაკეთებული კენტერბერიული მოთხრობების ეპიზოდები გააცნოს.

"ამ მოთხრობებში ყველა ის თემაა, რითაც რეპ-მუსიკა საზრდოობს: ეჭვი, ბრაზი, სიხარბე, ვნება. მაგალითად, "მეწისქვილის მოთხრობაში" უამრავი მინიშნებაა ადამიანის სასქესო ორგანოებზე და ამ თემაზე წარმოქმნილ იუმორსაც ხშირად ვხვდებით. ამიტომ, რამდენიმე ეპიზოდის ტონი საგრძნობლად შევარბილე, რათა ბავშვებისთვის მათი მოსმენა უხერხული არ ყოფილიყო".

ბაბას ჩოსერის რეპად გადაკეთების იდეა 1990-იანი წლების ბოლოს გაუჩნდა, როცა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ჩოსერის თემაზე მუშაობდა. ასე რომ, ეს პოეტი მისთვის კარგად ნაცნობია. ბაბა დასძენს: "ვეცადე რეპ-ვერსია მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო ორიგინალთან, ამიტომ ტექსტი სტრიქონ-სტრიქონ განვიხილე. მართლა რთული სამუშაო იყო ჩოსერის ისეთ რიტმში გარდაქმნა, რომ ახალგაზრდა თაობისთვის ყოფილიყო მოსაწონი".

ბაბას ვიზიტები კემბრიჯის უნივერსიტეტის პროექტის ფარგლებში განხორციელდება. ამ პროექტის მთავარი მიზანიც სწორედ ესაა - პატარებს ლიტერატურა შეაყვაროს. მკვლევარების აზრით, ხანდახან ბავშვებს უჭირთ 600 წლის წინანდელი ენის გაგება. ამიტომ რეპი შესანიშნავი საშუალებაა ამ ენობრივი ბარიერის გადასალახად და კლასიკური ლიტერატურის აღსაქმელად. მკვლევარებს იმედი აქვთ, რომ რეპად გარდაქმნილი კლასიკა ბავშვებს ორიგინალის გაცნობის სურვილს გაუღვივებს.

ბაბა თავის მხრივ დასძენს, რომ მისი სურვილი ჩოსერისგან დიდად განსხვავებული არ არის. "კენტერბერიულ მოთხრობებსაც" საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ხმამაღლა კითხულობდნენ.

გადაცემა
სუსტი რგოლი
მოთამაშის ანკეტა